

სკოპი

ოკავიკიშული სამსახურ-სალიტერატურულ მუხრანლი

განცხადების ტარიფი:

ერთი გვარდი 150 ზ.
 ნახევარი გვარდი 75 ზ.
 მუთსივი გვარდი 50 ზ.

ხელის მოწერა:

ერთი წლით 10 ზან.
 სამი თვით 3 "
 ცალკე ნათვარი ყველგან 50 ზ.

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის პრ. № 22.

კონტორის მისამართი:

განათლების სახ. კომისარიატი. სახელ-
 გამო.
 მიიღება ხელის მოწერა დილის 8—2 ს.

№ 24

ოთხშაბათი 31 დეკემბერი, 1925 წ.

№ 24

ქართული პროზის ანნალები

1924 წელი.

საქართველოში ჯერ კიდევ შორსაა ის დრო, რო-
 დესაც, გონკოლის სიტყვით, რომანისტები მიატოვებენ
 წერას იმაზე რაც ხდება ადამიანის გულში და გვიამბო-
 ბენ მხოლოდ რეინის ცივ ამბავს. ჩვენ ჯერ კიდევ ვართ
 რომანტიკოსები, მაგრამ რა თქმა უნდა არა გრიელ
 თმთან ნოვალისის ან „ყარბ მგოსნის“ ტიპის. რომანტი-
 ზმის სიკვდილი ხომ ხელოვნების საბოლოო განადგურება
 იქნებოდა. როგორც შეოშლებელი იყო აღრიწდილ რო-
 მანტიზმის რაობაზე „ხელის დადება“, ასევე ძნელია
 თქმა იმისი, თუ რა არის დღევანდელი რომანტიზმი.

რა არის სხვა, თუ არა გულის ანდრძი დღის ახ-
 ლად აღმდგარი ეგნატე ნინოშვილის მდუღარე აღ-
 სარება? იგი ხომ თავის მსოფლიო გზებით რაციონალისტის
 იყო. ის ხომ ერთი შემქმნელთაგანია მძლე რევოლუციო-
 ნურ დასისა, მაგრამ დღეს მის თანამედროვეს, უკვე მკოვან
 რადენ კალაქს, ესოდენ სიყვარულით რომ თავს დას-
 ტრიალებს ნინოშვილის ცხოვრების ყოველ ნაბიჯს, აღ-
 ბათ, თანაბრად უტოვებს გულს ეგნატე მოძღვარი რევი-
 ლუციონურ საიდუმლო სერობაზე და ეგნატე-პოეტის
 ქრისტინეს ბედისა. ეგნატეს სისხლში მოუსვენარი ჩრქე-
 ზის ასმიდოდ ინგოროყის სისხლი სჩქეფდოდა. „გურიის
 ჯანყის“ პოეტა რა ფერადებს მონაზავა 1905 წლის
 ქართული ეგნატე რომ ეხლა. წარსულში თუ იგი ასე
 ხარბად ეძებდა ხალხის სტიქიის კვალს, დღეს „რევოლი-
 უციის მატინე“ უძირო კაა შთაგონებისა. მარტო ნეს-
 ტორი კალანდარიშვილის თავდადასავალი ღირსია პეროი.
 კულ სიმფონიისა. იგი ანათებს, როგორც ჰაბუე ერეკლეს
 გმირობა ნადარ-შაჰის აზიურ შერეებში. დღეს ნინოშვი-
 ლის მკნებარე ფურცლები მოწოდებაა ახალი პროზისაკენ.
 ნინოშვილის ფიქალბეთან ერთად წარსულ წელს
 თავს დასტრიალებდა ალექსანდრე ყაზბეგის უბი-
 ნაო სული. ვილაკამ, ლიტერატურაში შემთხვევით გა-
 ვლელმა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით რომ ესთქათა,

„სამსახურითვან მოკლილმა ყმაწვილმა ცაცმა შეეწია მა-
 მელუსა ენასა“ და გვამცნო, რომ ალექსანდრე ყაზბეგს
 უძარცვავს არა თავისი უკვდავი სული, არამედ „სასამარ-
 თლოს ბოქაული“ და „ნაროდნიკი“ თავისი ბიძაშვილი.
 მდბალ ბრალდებ ს წინ აიოლდა თანამედროვეთა მადლო-
 ერი მესხურება და კვლავ თავზე დაადგა ალექსანდრეს ის
 მოწამებრივი გვირგვინი, რომელიც ერთი წუთითაც არ
 მოშორებია ქართულ პროზის მეფე ღირს. ვახტანგ კო-
 ტეტიშვილმა ჯერ თავის ჭანდაკებით შექმნა უღაო ლე-
 გენდა და მოწმობა ნამდვილ ალექსანდრესი და მერმე
 აამუტყვილა ფაქტები. მოპასანი, ნიკე, გლგე უსპენსკი,
 ლოტრეაზონი გადავიდნენ შეგნების საზღვარს იქეთ, მაგ-
 რამ ჩვენ დღემდე ტყვენი ვართ მათი შთაგონებისა განუ-
 ყოფელად, იქაც კი, სადაც ისინი ასახიერებენ ჯერ კი-
 დევ შეგნებულ სიგიჟის თოთოლას.

ქართულ რომანტულ პროზას დიდი ანდრძითაა
 შთაგონებული ნიკო ლორთქიფანიძის პირველი
 ტომი პირველ ფურცლებიდანვე გიჟობით სრული უში-
 ლობა. სამყარო ბნელი საჰანია სულის. ადამიანი ძვალს,
 ლეშა, ლოწარდა და ვინჩი და ტეზისტე მხოლოდ
 ტალახია. აქ სოფელს სიკვდილი. აქ წყველა იმ ეპოქის,
 როდესაც საშინელ რეაქციის სუსხი სპობდა იმედის ყვა-
 ვილს. აქ თრობაა იმ შხამით, რომლითაც ითრიბოდა
 ტურგენევი „პროზით ლექსების“ შექმნის დროს. შოპენ-
 მაუერის სახე სადღაც მოსწინა ამ გარემოში. გაუზიარე-
 ბელ სიყვარულის, მარად ძველ და მარად ახალ ისტო-
 რიას! ლორთქიფანიძე ახლად მოავარაყებს „შოპენის“
 ავის და კარგის გადაუვლი ზომიერება არ არსებობს,
 მიწეზილა და შედევთა შორის კავშირის პოვნა—ზღაპა-
 რია, ჩვენი ავტორი ჯერ თითქმის ვერ მხედავს გარეშე
 ჰეგელსა, იგი სულიერი განწყობილებათა მტკივნეულ
 კუთხეების მაძიებელია, როგორც ლეონიდ ანდრეევი ამ-
 ბობდა ჩეხოვზე, „წვიმით იგი გვიხატავს თავის გმირის

კრემლებს, ღრუბლებით მოცულობის მის სიმაღლეებს, ბინით გვიმტკიცებს, რომ სულის უკვდავება არ არსებობს. რა ჩამოაღმებულა „იუული მგლოვარეთა“ ტყე, სადაც ფრანგულმა და ნაღირის მოსთქვემენ თავის ბუნების თანადგომი ნალს, სულს სივით იმით შორის, იგი იძახის: „განმეძარკე მე პირველ ქმნილი სიყვით და მწვენიერება და მდებარე ვარ საფლავსა ამასა შინაო“.

მაგრამ თავისი დინეკი მანერით, ჯიშთან სიტყვით და ოსტატობით ლორთქიფანითი თანადგომი გამოგიყვანთ ამ უშიშრო სამეფოდან, სადაც იგი ნაღველიან ერთად სტოვებს მეტსიტყვიანობას, აცლის თავის სტრუს ბერბუშლას და „დადგარულ ბუდეებს“ მიაწოდებს მეცდრის შუბს. ხალისი არც აქ არის. აქ განწირული წოდება სულს ლეგს. აქ ძველი იმერეთი, პანეკი ოლდენშტრუგის ქეთიანია, სადაც „ომათი არც ქაჩინის საყვარის ხმა, არც გრიამული და ზოგან შეგვრთული სანათება და გეგონება“ ეგერეთილ ტყეში ხალხს შესულა ჩირადნებით მხეცების გასაჩეკათი. „ეგრეთი თვადეკრული სედიით შეპყრების იმით, „ვისაც სახლ-კარ-მილამოში მთელი გვარის ღვინდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩაუბრახავს და სახლის გაყიდვასთან, წარსლის დაშორებასთან ეკარგება მომავალიც“. მაგრამ აქ არიან „ჯიუტებიც“, ეს გამოწეაღისი ერთეულები, მაგრამ ხასითით და გვარის ურჯევ ნებით, სვანი თანდარბუ კორძიანი ზეი, იგი ბაზიბე დორაველის შუენია. „იმერეთში რამდენი კორტობია, იმდენი ბატონია“, ამ მომავალ ზეიანს ახალი იმედიათი „ბუმბუტაზი“ ჰყავს მემკვიდრეთი — გლეხი ფრანგულაშვილი, ეს იმერეთის გარვანტყუა, ერთი ჩაფ ღვინოს სულმოუთქვამელად რომ დასკლის და ზურგიით მაიჯეს მთელი ზეინი თივა. „ტლუ-ბიჭვის“ გაივლებს 1905 წელი და ბოლოს როგორც მისი დამარცხების სიმბოლო სიდას მებრძოლის საფლავი და სამშობლო ეკრიბდა და აყრილი ღვედ-მამა მოსთქვამს. ზოგან „იმერეთი“ და „შემწილი ღვედებში“ იმერეთის ფულკლორი ევრია ქეთული შექმნის მარგალიტად, სჭარბებს ნელდა მასალა, მაგრამ მთელი წვინი შეხვედრული ოსტატის კარგი ენით, ზომიერ ფეაადებით, ჩვენ ვიცით სხვა მერმინდელი ნიკო ლორთქიფანითი, მაგრამ პირველ წინიდან უკვე მოდის ახალი რეაონისტრი სკოლა, რომელმაც დაასაზრა ქართული ოქმის ნატურალიზმის უხეში სტილი, უზაღვი ძაფი გააბა „ოთარანთ ქეროვის“, ყაზბეგის და ნინოშვილის პროზასა და დღევანდელ დღის პროზის მწვერულთა შუა.

თითქმის ნიკო ლორთქიფანის დროის დებუქანატია მწერლობაში. მიხეილ ჯავახიშვილი ადამიან-შვილი. მისი პირველი ტომის თვალის გადავლება თითქმის გიმეცდრებით იმ აზრს, რომ რომანტიკული გმირები ამ კარგ მელაქარებზე შესხდარან და წასულან და მათი ადგილი მელაქარებზე დაუჭერიათ. აქ წაწირი თვალით, ნაცად რეალისტრი მანერით ავტორი ყარაბოღელთა გოგოვს ედარება, იგი მათი მენაწნური წრის ანატოლია. ყველა ეს ჩანწერები, კურკები — სოლომონ ისაკი მელაქაროვს — მემკვიდრენი არიან. „მეტყვე გამო“-ში ადამიანული საარსებოს გვიჩვენებს. ეს ქართული მწერლისთვის გაბედული ნაბიჯია, მაგრამ ყველა ეს ადამიანულის სიცილი-ლოვია. იგი ოსტატურად გვიხატავს ამ ბანალურ ხალხის ბანალურ დრამებს, რადგან მისი დაკვირვება დიდ

ხანს შეუჩერება ამ ურბანისტულ სცენის პერსონაჟებს. ეს შემოქმედების კანონის ძალაა. გონჯაროვი ამბობს თავის თავზე: რასაც არ ვიცნობდი, იმაზე ვერ ეწერდიო, „писал своих жанров и все, что к ним приростало“. მისი ჯავახიშვილსაც ისე შეზრდაა ეს ხალხი, რომ ვერ მოკვლევია სანამ ისინი არ განაკლდნენ მის ფურცლებზე. მაგრამ ნამდვილი შედეგები, მხატვრის გამაზრებელია — „თვადეფიყვება“, იგი ქართულ ბულეტრისტის იშვიათ ქმნილებად უნდა ჩაითვალოს. უკვე ოცი წლის წინად გვეჩვენებს ის ნაწარმოები ასეთი სულითა აკვარელის ფანქრით დაღებულ ფერადებით. რა კეთილშობილი, გამოზოგვილი, ძნწი სტილია. ეს კურბის, სურათის გამაქვირება ზეიანია, ინსტიტუტის მოვარდა, გამეცეხულ ვეთის მერე მარად ჭალწულის დადენება, სტესის ტრულფი, თვადეფიყვება და მისგან გამოღვივება — ყველაფერი ეს ასე ლაბ-დარულად, მლაჭად გადანილი მიწისხა, რომ ადამიანებს აქვს ტუშმარტად მადლი მხატვრისა.

თიქულ წლის შემდეგ დაწერილი „ტუის ციქში“ ავტორი საყვრელის ძალით გადასვამთ შიგ ღღრან ტყეში, სადაც ტუის მცველ პაღელთან ერთად თქვენც ვივადებთ ბლენი, ხარბათ სურთქეთ ტუის ჰარს, ითივსებთ ბუნების წრეს, გადატყვევით ადამიანის სახეს და ბოლოს გულით მდღუდით გზიარებთ პაღელს მწერს ხედრს. აქ უშუალოდაა ბუნება და ადამიანი. „შინევილი ადამიანი შიშველ მიწაზე“, რა ლოლიანია პაღელს სულის კვეთება! მის არ ზღუდვად საზოგადოების პირობები. იგი, როგორც ხე მიწიდანა, თავისუფლად ვაიხარდა — და მხოლოდ მამობრივ სიყვარულის გაწეფრება არღვეს მის ბოლიანობას და უფროებს საშინელებას.

მაგრამ ჯავახიშვილი დიდ ხანს არ რჩება წილითა შორის ბუნებაში. იგი ყველა ცოდველ ქალსა მოაშველებს და ამ როგბანზედ ჰქმნის უსათუოდ ყველაზე უფრო მეტწილად დეკერილ ტიპს — ევაკი ევაქანტრიაქს, თუ ჯავახიშვილს არ უწერია მარტო ცალკე ტიპების დახატვით შემოაფარვლა და მოგვექმნ ქართულ სინამდვილის „ადამიანურ კომედიას“. ევაკი ქართული თეატრო შეიქმნა. მასში იყრის თავს არა მარტო უარყოფითი თვისებები „კომინიზატორის“ და ზშირად სისხლის სამართლის დანაშაულის გმირისა, იგი შემთხვევის გერია, ორიენტაციების ნიჭით დაჯილდოებული. მისი პარტოტკიპები სასევა სინამდვილე იგი იერემია წარბას ენათესავება.

ჯავახიშვილის ქართულ მწერლობაში დაბრუნება დიდი სიხარულია, მხოლოდ ერთი შემთხვევითი ხასიათის ნაკლი უნდა აცოდეს მწერალს: „თვადეფიყვების“ და „ტუის ციქში“ ავტორმა თავისი ლტერატურული პრობლემა ყოველთვის შეუფარდოს მხატვრის მსჯელას.

ილია ქავჭავაძეს, ყაზბეგს, ნინოშვილს, დავ კლია-შვილს დაყოფილი ჰქონდათ ჩვენს პროზის სამეფო სამთავროვად. მხოლოდ ილია (სამეგრელო) იყო თითქმის უპატრონო. იონა მეუნარეის მწერლობის დეაწწში მისიანად ყარგი პროზაის შესაძლებლობა დღეს დემაწ შენევა იაი ცდილობს ალადგინოს არტხველო ლამაზერტის აწერილ სამეგრელოს ზეიანობა, მოკვებს ლევან დადიანის და პოპე მეუნარეის ქრინიკა ბოდოს გადაგვარების და სიების ნიშნის ქვეშ. დემაწ შენეგლიამ დაწყო მეგრულ ზღაპრების ლიტერატურულ კანონიზა-

ახალი მხნათა

პოეზია „ტფილისი“

ლევან ლოღოჭიძე

...და როგორც ჭულსი მომაკვდავ კაცის,
ეს რიტმიც ისე გამოიკვალა.
მე ვუბრუნდები დღეს ახალ ტფილისს,
როგორც ფლიტა გამოხრულ ძვალთა.

ძველი სატახტო... სვეტი ცხოველი,
რომლის ობობა მტკვარს გადააშრობს;
მისგან სასწაულის არეინ მოვლის,
ზახარ ზახარი აქ ნშვილად ვაჭრობს.

გადაღეშილი ეს რუმბი ღვინის,
წინათ ყმათ ჰყავდა ალბად სინოდალს,
დღეს კი ბუხარინს სწერს ის დეპეშებს,
ისეთ სიტყვებით, გულს რომ დაჰკოდავს.

დაშრა აქ ენება აღამიანთა,
ჯვარის მონასტრის გაკივდა მწირი,
მხოლოდ არაგვი მტკვარს ჩახვევია,
პირველ სიყვარულს აქამდე სტირის.

რუსის ისპრავნიკს კაპასი ცოლი
მშვილად უშლიდა წინ აქ პასიანს
და აზიაში შეჭრილი სოლი
იმპერატორი ვესპასიანი,
ნადავს ჰყნოსავდა, როგორც აფთარი,
ნაზონის ლეკებს ისმენდა მტკვარი.

„ოი, არაგვი, არაგვიანო,
მტკვარი ფეხმარდო. მედამ მჭუხარე,
ვარ მოგონებ-ს ცეცხლით მწუხარე,
უტახტო, როგორც ის აღეჭანდრე,
რომელის სივდაც ამ დიდ ხეობას
ჯერ აქამდესაც ვერ აუღომაგვს.

ასე იღება ახალი კარი,
სანთელის ფრთებით მოდის იკარი,
წინ კი ელექტროს გარდაქე წანი,
გოლით ქაზნის მოსჩანს ჯაგვანი.
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
აბიათარი კვართით დამარხეს,
თავჩაღუნული ათასი მუშა
მიაყოლებენ მტკვარს ახალ არხებს.

და იმ ადგილას სადაც სამქედლო,
ვერ დასჭიდვდა ჰაკ ცხენის ერთს ნალს,
შორტორებს გააქეთ ეხლა გრავანი
და ათასი ხმით „International“-ს.

და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
უწყალო კირი იდგა არმაზის,
დღეს სუბიშვილი, ტფილისის მუშა,
ელექტრო სადგურს უშენებს ბაზისს.

და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
ძველ დინასტიით დაგროვდა ფერფლი.
ელექტროს ცეცხლში სდგას ჯვრის ტაძარი
დანტასტური, ვით ვიქელი.

ვესპასიანი, წმინდა ნინო, მეფე მირიან...
ლადო დუმბაძის, სუბიშვილის ახალი მცხეთა
მოგონებები გრივალეით, თუმცა მოჰჭრიან,
უჩი ოცნება მათ პოეტის ვერ დააფეთეს.

ვინ დაბრის დროშას მაღალ ტარიანს,
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს.

ტიციან ტაბიძე.

16 ნოემბერი 1925 წ.

ქ. ტფილისი.

1921 წელი

კონსტანტი მოთხოვნისათვის

საბარგო სადგურის მოედანზე ლიანდაგის ყველა ხაზები დაკავებულია.


ხენგით, თითქოს უკანასკნელ ძალას იკრებდა, მანქანა მოათრევდა რონოდების გველ კედლს, ჩადგებოდა სადგურზე და შემდეგ იდგა გაიკვებულ.

ნახშირში გამოქრული მემანქანანი მალე სტოვებდნენ ორთქლმავალს და კვარტების დასაცლელად ახლობელ სამიქტრებში მიდიოდნენ.

ხალხი, რომელსაც ვადმოყრიდა მატარებელი, მიდიოდა ქალაქისაკენ. მზის გაღახისას უკან ბრუნდებოდა და ეძებდა ძველ ნაბინავარს.

საბარგო სადგური ღამით მოავადდა დაქვრივების კარმიდამოს. შორიშორის სნეულად თამოყიდათ თავი ელექტრონის სანათებს. ბეტონდენ მჭრიალი სხივები, რომელიც დაყურებდა იმით შეღესილ რონოდებს, ლიანდაგის ნაპირებზე ხრვს და ხრეშზე კაცის განაეალს.

ალარავის ენატრებოდა გავგო თუ ვინ მოიყვანა ახლად მოსულმა მატარებელმა. როგორც წინათ, ისე ახლად მოსულიც მოათრევდა რონოდებს ლაყურ დაღმეულ ზარბაზნებით და რუბე შინელებში ადამიანებს, რომლებსაც გაჩერებისას თითქოს გადმოაჩწყევდა ხის კოლოფებიდან.



კორესის ნეშთის გადასვენება პანთეონში.

ათასი რუბეი შინელი ერთმანეთში ირეოდა. მათ უკვე აღარავინ უშლიდა ჰეტიალს.

ზოგიერთი ღია რონოდებზე იდგნენ გუშაგები. გუშაგოდნენ ზარბაზნებს, ტომრებს ფეკილით და სხვა საქონელს. მოდიოდნენ ნაცნობი ჯარისკაცები, აწოდებდნენ პაპიროსს. გუშაგები სთხოვდნენ მათ მაგიერ დამდგარიყვენ, თითონ წყალის დასალევად მიდიოდნენ ან სტამბაქის დასაცლელად. ამისათვის კი შორს არ სჭიროდათ წასვლა — რონოდების ქვეშ, გზებზე ხაზებს შუა ყველგან ეყარა ადამიანის განაეალი.

ვინ აირჩია ყველა სადგურისათვის ქარიანი ადგილი. ყოველი სადგური, სადაც არ უნდა იყოს ის, მიყრუებულ ველებზე თუ დიდ ქალაქში, ატარებს მუდმივ სევდას. ადამიანები როგორც კუკლები დადიან ბაქანზე, დარბაზში. გაზის სანათების შიშინი ყოველთვის გავონებს შემოდგომის წვიმას და აცოცხლებენ მოგონებებს სოფლებზე და ქალაქებზე სადგურს იქით.

ციც, ნოტიო და ბნელ კოლოფებში ოცი-ოცდაათი კაცის სხეული გათენებამდე ათბობდა ერთიმეორეს.

იმ სათბურებიდან, საიდანაც გამოდიოდა კვამლი, დაღმების შემდეგ კარები არ იღებოდა. მაყალას გაეთბო სათბურის კედლები და ხალხი, რომელსაც ძილი არ უნდოდა.

ლურჯი შხამით ელავდნენ ნაკვერჩხლები და ნაფოტები კვამლს აღოლავდნენ, მაგრამ ვინ იქნებოდა კათაკმეველი და გაიფიქრებდა, რომ კვამლი აცრემლებდა თვალებს და ხელებს იწვევდა.

ასეთ რონოდებიდან ხშირად ისმოდა სიმღერა. სწორ სიმღერებს ამბობდნენ გაშლილ სუფრებზე, მაგრამ სიმღერის ნამდვილი ბუნება შოლოდ ასეთ ყოფაში ცხადდება.

ეს ხმები არ იწვევდა შურს, არც სხვა რაიმე გრძნობას იმ ადამიანებში, რომლებსაც ციოდათ კოლოფებში. თვლემას და ფიქრს არავის უშლიდა. შეიძლება ახლოსაც გაველოთ ასეთ სათბურთან და რომ მღეროდნენ არ გავგონათ. ადამიანები თბილ რონოდებში იყვენ სხებზე

უფრო ავი, არ იკარებდნენ თავის წყეში დაუპირებელს, ისხდნენ ცეცხლთან და გვრათ ღეჟავდნენ ცივ და სველ ჰაერს. დილით კოლოფებიდან გადმოდიოდნენ დასივებული თვალებით, ქალაქში სახეტიალოთ მიდიოდნენ, რომ საღამოს ისე თავის ცივ მუნჯავში შემძვარიყვნენ.

მიმავალმა მთავრობამ აზიზის მოედანზე გამოსათხოვარი პარადი გამართა.

მთავარსარდალმა უქანაქნელად დაუარა ჩამწყრივებულ გუნდებს.

არავინ აქცევდა ყურადღებას თუ როგორ იდგნენ ჯარისკაცები, გამართული იყო თუ არა მწყობრი.

შტაბმა სამქაროთ ჩამოიარა გუნდები ჯარისკაცების დაღალულ, პაროტყვის უგონო სახეებით, რომლებზედაც ვერაფერს ამოიკითხავდი, ვერაფერს გაიგებდი და გამოიყნობდი. ისინი მოიყვანეს დღეს დილით ცივ კოლოფებიდან. მათ ჟოხბრეს წამოსვლა და ისინიც წამოვიდნენ.

მოთმენით იდგნენ ცივ ქვეშე, გრძნობდნენ მხალღოვანების სიძაბეს, სადგომებისკენ დაბრუნებაზედაც არ ფიქრობდნენ. იქაც ნესტო და ვახუშტის სიცივე დახედვდალათ. გარშემო სიჩქერს ამოქვეყნდნენ საზიდავები ნავთსადგურისკენ გაბაჟრული. მათ მოქონდათ გემებისთვის ტვირთი, რომელიც გაყვებოდა მთავრობას.

ჩამოდნენივე აზიზი ჩამოშორდა და ჩქარი ნაბიჯით გუნდებისკენ გამოემართნენ. გამოაცხადეს რომ მსურველს შეეძლო გაეყოლა უცხოეთში მიმავალ ხელისუფლებას. ოკიანეს დიდ გემებით მათ უფასოთ წაიყვანდნენ.

გიორგი და მიხო უეცრად ერთმანეთს შეხედეს. მათ სახეზე შეიძლება გაგება, რომ ორივემ ერთიდაიგივე გაითქრა.

არავინ შეუშინებია როგორ გაქრა მოედნიდან მთავარსარდალი მხლებლებით. გაიშა გაუხედავი ბრძანება. გუნდები აიშლნენ და სადგომებისკენ დაბრუნდნენ.

გიორგი და მიხო გუნდს მიყვებოდნენ, მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა ნავთსადგურისკენ მიმავალ ქუჩას თოვები ამხანაგებს გადასცეს და გაშორდნენ.

ამღვრული ზღვა ტორტმანობდა ნავთსადგურში მომწვედელი. ტალღებზე ირბოდნენ გემები როგორც მსუქანი ღეღბარები გაბაჟზე. ნაპირებიდან დაშორებით იდგნენ უცხოეთის ჯავშნისნები და დრედნოუტები. ოთხ საკამბლედან მხოლოდ ერთი უშვებდა ბოლს ისე ზანტათ და ძუნწათ, თითქმის ჩიბუხს სწევდა უდარდელი მეზღვაური.

გიორგიმ და მიხომ სიფრთხილით გადაიარეს ნავთსადგურის მოედანი. ავტომობილები, უშიშები, ტენებები ეზიდებოდნენ ბარვს გემების დასატვირთავათ. ხმაურობდნენ მზიდავები, მორტობები ქვით დაფენილ მოედანზე.

ორივემ როგორც იქნა მიიღწია ნაპირს და მიუახლოვდა გემს. დიდხანს უქურეს ამ ზღაბრულ კოლოფს, რომელსაც უხარმზარი რკინის ხორთუშით ნაპირიდან ფირფიტასავით აქონდა შეკრული სკიკრები.

გემის ბაქანზე რკინის ჯირკზე ჩამოშდარი მეზღვაური უდარდელად უხარტყუნებდა მინდალინაზე.

შიში, რომელიც დაბადა ნათში ზღვამ, ნელინელ გააქპო მეზღვაურის შეხედვამ. ზღვა აღარ იყო ასე საშიში. დაიჯერეს, რომ შეიძლება ამღვრულ ქარის მოადირება. ზღვა მოტყენათ შეპარობილი ნევასტენით, რომელმაც დროებით დაჰკარგა ვინიგებება, მაგრამ საერთოთ კეთილია და დასანდობი: აღარ აშინებდათ სოჭოკ კაიუტების რგვალ ფანჯრებიდან რომ იყურებოდა.

მეგობრებმა გადასწყვიტეს დაბრუნდნენ გუნდში, გამოეთხოვონ, შინ წერილობის წაღება სიხოვონ.

სალამოს რამოდენიმე ამანაგათან ლუღხანაში იყვნენ. პატარა დაბაში გამზბარი თუთუნის კვამლით და სუნთქვით, ხმაურობდა ჯარისკაცების ხმამაღალი ლაგრაკით და პროსტიტუტებით, რომლებსაც მეზღვაურები აწვალუბდნენ.

პარტოზი ჯარისკაცები სგამდნ უცხოელ მეზღვაურების სადღეგრძელოს და სწუნდათ, როცა ისინი სამადლობელის მავიერ კახებს აკივლებდნენ.

ფოკსტროტი, ლეკური, ტანგო და მზღვაურული სცვილდნენ ერთმეორისკენ.

ლუღხანის პატრონი, შალარისგან გაყვითლებული ბერქენი ყურადგლით დახტოდა ჯარისკაცებში და ცოხლირიგით ათამაშებდა ხელში სახე და დაცილი ბოთლებს.

ჯარისკაცები მალე თვებოდნენ. აიწყდებოდათ, ან არ აპირებდნენ ფულის გადახდას და ეპარებოდნენ ლუღხანის პატრონს როცა ის ბოთლების ამოსაღებად ერთი წუთით დაზვის უკან დაიხრებოდა.

მეგობრებს უკვე გადაიწყდათ გიორგის და მიხოს შორეთი რომ ისტუმრებდნენ. ყველა სვავდა სადღეგრძელოს შინ მალე დაბრუნების, ცოლების, დატოვებულ სოფლების და ქალაქების.

გიორგი და მიხო წამოდგნენ. ამხანაგებს დაინანათ მათი დაშორება, მოავონეს რომ მალე სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, დარჩენა ურჩიეს.

კიდევ გვერდია ამხანაგებთან დარჩენის ღრწი მოყვნით ჩილაპარაკა მიხომ როცა ვარგეთ ვავიდნენ.

სახურაებზე, ქუჩებზე, აივნებზე ჩამოკიდებულიყო ნოტიო ნისლი. ზღვის ხმა ახლო ისმოდა. ღამეში ღრიალდნენ გემების საყვირები.

როცა შეუხვდნენ ნავთსადგურისკენ და დაინახეს გაჩაღებული გემები, მიხო გადაუდგა გიორგის და შეკვივდა: — დაბრუნდი!

მაგრამ მათი გზები დაშორდნენ. მიხო მარტო დაბრუნდა ლუღხანაში მეგობრებთან.

იმ საღამოს ქალაქის სამართველოში დამუშდნებელი კრების უქანსკნელი სხდომა იმართებოდა. დიდხანს ჰკიოდნენ მიმავალ გემების საყვირები, ქალაქის ვარუტებში კი დაუპირებელი ქემალის ჯარი ებრძოდა ახალ საქართველოს ჯარს.

სერგი კლდიაშვილი.

ს ა მ ი ტ კ ი ვ ი ლ ი

ბავშვებისთვის

როდესაც ბებერ ფიჭეს პირველი

ტოტი შეაჩმა, მან შეამჩნია,

რომ

მის ახლოს

წამოიზარდა ორი მისი შვილი--პატარა ფიჭვები.

მან ამაყათ გადახედა მტკვარს

და ჟხაროდა

რომ

მის ტოტებზე იმ დილას ბევრი ფრინველები

ისხდენ და გალობდნენ.

შვილები გაიზარდნენ

და ყოველ დილას

თაფის ტოტებით

ეხებოდნენ საყვარელ

დედას:

„დილა მშვიდობის!“

ტყის მცველმა,

შეამჩნია ორი ლამაზი,

და უბრძანა დააყვას:

მოსჭერით ბებერი ფიჭვი--

ძირ დამპალია

ჯანმრთელ ხეებს უშლის ზრდას.

მოსჭერს.

დედა ისე წიჟჭკა რომ არც ერთი შვილს არ ატყინა

ტოტი.

მაგრამ ეს იყო მათი პირველი ტყივილი.

აბასთუმანში სააგარაკოთ

წავიდა ახალგაზრდა ქლექიანი

პოეტო.

როდესაც ტყეში სეირნობდა

მივიდა ტყუპებთან

და რადგან უყვარდა ორი ახალგაზრდა ქალი

მაია და მარინა

ერთ ფიჭვეზე ამოჭრა

მაიას სახელი

მარინასი მეორეზე...

ორი ნიბლია აძლევდა მისამართს ამხანაგებს:

ერთი ამბობდა: მე ვცხოვრობ

პირველ სართულზე „მაიას“ მარჯვენა ტოტზე

მეორე:

მე ვცხოვრობ „მარინას“ პირველ ტოტზე აღმოსავლეთით.

ხე არავის არ ეცოდებოდა,

მით უფროც

ჭარხნის პატრონს,

ფიცრის დამხერხავს.

მან იჯარით აიღო ის ტყე

სადაც ტყუპები იზრდებოდნენ,

და აპრილში

როდესაც მტკვარი მოდიოდა

მოსჭრა ორი ფიჭვი

ორივე გაატიტვლა

გადახერხა

და სხვა მეზობლებთან ერთად

შეკრა ტივით.

ეს იყო მეორე ტყივილი,

ერთად ტიროდნენ

რადგან ტივში

ერთად მოხვდნენ გადამბული:—

დაო, ნუ დამტოვებ,

ჩამეყარი,

ტივი თუ დანგრეს

ნუ მომშორდები ერთად ვიცურათ.

შენ თუ კასპიის ზღვაში წახვედი

და მე დავჩიო ტფილისში,

ერთმანეთს ხომ ვეღარ ვნახავთ.

ერთად დავგებოხონ.

(გზაში ტივი დანგრავ).

ტყუპები ერთმანეთს დასცილდნენ,

ეს იყო მესამე ტყივილი:

როდესაც ერთი და

მითათრეს ქარბანაში

მან

მეორე ღრს ამბავი ვერსად გააგო!

დაუწყეს ხერხა.

ყველა ფიცრები ერთმანეთზე დააღაცეს.

შერდეგ გაგზავნეს

ქალაქში

ახალი

სახლის

ქედლებისათვის.

უკანასკნელათ

ერთმანეთს

შეხედნენ

კედელზე გავრულები.

ენატრებოდათ ერთმანეთი

მაგრამ ლურსმნები არ უშვებდნენ,

ვეღარც

ერთმანეთს ხედავდნენ.

ლურსმანის

ჭრილობებიდან

ყველას

ცრემლები

სდიოდა.

ქალაქიშა დაიწყო კედლის შელესა.

დედეს თვალები შეეკრათ .სული შეეხუთათ.

შელესა რომ გათავდა:

აღარ იყო მეთოზე ტყივილი.

იყო სამუდამო სიჩუმე:

სიკვდილი.

გქადელი ზაქარო.

დანგ! რაკა! რუკ! დანგ!
 ცეცხლი სწევს ეანგს..
 ქუთა გუგუნებს შშრომელთა ჰანგს.
 გრდემლზე ჩაქუჩი რაკუნებს: დანგ!
 სანამ ცხელი ბარსაკების სკედს.
 გუთანს შეუდგავს სახნავად გლეხს.
 დააფოლადებს, ზელსუღას, ცელს.
 და ოფლს მოიწმენდს ხანდახან ცხელს.
 არ უფრთხილდება ის თავის ჯანს:
 დანგ! რაკა! რუკ! დანგ!

რა ზეიმი აქვს სამეჭდურ ქობსი?
 — ჩქარა ნახშირი! დავპირავ თოხს!
 დაღამებამდე ვეშუროთ დროს..
 კიდეც მოვასწრობ მე ნამვალს თოხს!
 აბა, ჩაქუჩი! ზარმაცე მძაცს!
 დანგ! რაკა! რუკ! დანგ!

დილით გამოვა ერთ არაყს სევას.
 გადაიკვალთავს მარჯვენა მელავს:
 ნაწილობისა მამღლისად სუასს.
 შვირდს უძახის: შენ დაჰკარ მანდ!
 დანგ!

მუდამ შრომაში აყოლებს გულს!
 ხალისიანობს, არ ჩაბრის მუხლს!
 მაინც ვერ იძენს ის ბლომად ფულს.
 პატროსანი მას შრომა ჰსურს.

ჩვენი ზაქარო იმეტებს თავს.
 დღეს ოფლი ღვარა, დაღლილი სჩანს.
 აღრე აღგება, ზარმაცე სძაცს!
 ხვალე ჩაქუჩი იმღერებს: დანგ!

ხანდრო შანშიაშვილი.

რანი მდელი

ტურფა რანი შიშველ ტანით ტყეში დადის, ტყეს ამშვენებს.
 თავის სახეს მხოლოდ ერთხელ მყუდრო ტბაში მოგვაჩვენებს.
 იქ ბანაობს შეადლისას, მთვარის შუქზე თმას ისევლებს,
 დილით მივა ყვავილებთან, დაქანცული მოისვენებს!

გულს უფარავს მას ლეჩქა და იმასაც ზწირად იხდის.
 ზოგჯერ დალას ესტუმრება, დაცქრიალებს, ზეიმს იხდის.
 მუდამ ამწენვს: გონჯი რუბა უკან დასდევს, მისკენ მიბტის.

ის ნახევრად ცხენაკია, აბებრებს და თავბრუს ახვევს.
 ხან შეპრობას დაუპირებს, ტორებს ასწევს, ძუას არხებს.
 კისერს მკერდზე მოილერებს და ქაიანი ვნებას ამხელს.

როცა ტბასთან დაინახავს, ჰსურს ქალს ეცეს გაიტაცოს.
 ბოლმა აღწობს გმირს ოდელის, ნუ თუ კიდეც დაიკადოს?
 დღე და ღამე ვერ ისვენებს, რა იზრუნოს? ან რა სცადოს?
 ტყეში შეხვდა. და ელვასებრ ლახტი სტყუარცნა, მოხვდა რუხას.
 შეაბრძოლენ, დაბლა დასცა და მიაღძო ბეჭერ მუხას.

ეხლაც რუბა იქ აბია და დღე გადის რაოდენი:
 ზეიმობენ უღრან ტყეში ტურფა რანი და ოდელი!

ხანდრო შანშიაშვილი.

თ ე ზ რ ო .

(1905)

ცას ჯერ ციადი არ გადაჭრის, როცა ლევანი სახლიდან გამოვიდა. პატივი ცივი იყო. დედამიწის ნაბი ელო. ლევანს ტანში შეაყრია. მხარზე ორ-ოთხი კარგი თოფი ეკიდა. მაღალ-უღელნი წაღები ეცვა. ნამდვილ მონადირისვით. სტუდენტური ახალი, ლურჯი ქუდი, ბუკირი კარტუზიანი წაღები ფერს თმა-წარბ-წამწამს უბღერდა. ლევანს ნადირობა ძალიან უყვარდა, რადგანაც ისე ეგონა რომ თავადიშვილი უმჯობესად კარგი მონადირე უნდა იყოსო. იგი ხშირად დადიოდა ხოლმე სანადიროდ, მაგრამ ნანადირევი შინ იშვიათად მოჰქონდა. დღეს კი მას სურდა უმჯობესად კარგი ნადირობა გაეწვია. თავს პირთა მისცა, დღეს შინ უსათუოდ კურდღელი მოეიტანო. ეს მისთვის უცოდელადვე საჭირო იყო: მის ოჯახში სტუმრად იყო მისი დანიშნული, მისი დიდი ხნის სატრფო ელენე, ისიც თავადიშვილის ქალი და იმის წინაშე თავის გამოჩენა სურდა ლევანს. ამიტომ იყო, რომ დღის რჩევას არ დაუჯერა და სანადიროდ მაინც წავიდა. დროება საშინო იყო: ხალხი აღელვებული იყო. კენიანს ეშინოდა ამისი და შეილის სანადიროდ გაშვება არ უნდოდა, მაგრამ თავნება შეილი მას არ დაემორჩილა.

ლევანი ნელა მიდიოდა. ბუნების გაღვიძებას ყურს უგდებდა. დილის ცივი ნიაფი ქაბუკ ულვაშებს უწეწავდა; ჩიტების ჭიკჭიკს მის ყურში ტრიაშული გაჰქონდა. სასიამოვნო იყო ლევანისთვის ასეთ ბუნებაში ყოფნა და განცდა იმისი, რომ იგი ჰაბუკია, ჯან-ღონით სავსე, უდარდელი, ნებიერი. — ასეთ ადამიანს ბუნებაც უკედ ატყობს, და მისთვის ცხოვრებაც სასიამოვნო და სიცოცხლეც ტკბილი.

ლევანს გონებაში ელენე უტრიალებდა, მასავით მაღალი, ლამაზი, თვალ-შაბა და ნებიერი. რამდენი წელიწადი შეგუდებოდა ლევანი ელენეს, ვინ მოსთვლის! დედის ერთი თავადის ქალს დიდი შოგლები ჰქონდა და ეს უფრო აორკუცებდა იმ მიზიდვლებს, რაც ქალს ჰქონდა თავის სილამაზით. ძლიერ მიალწია ლევანმა თავის საწადელს და ელენეს თავისი დაარქვა. ელენე აწ მისია სიკდილამდის, სამუდამო! მისია იგი თავისი სილამაზით, გულით, სულით, მისია სატრფოაო, გონგებშიან განუზო-რებელი. მაგრამ ელენე ამის თანხაზე არ გახდა, ვიდრე ლევანმა რაიკოში ფაქულტეტის ოთხი კურსი არ დაასრულა და როცა ლევანის ცხოვრების ასპარეზი გამოირკვა, ელენემ მხოლოდ მაშინ გახედა და „ჰო“ უთხრა ლევანს. ეხლა კი, ავერ უკვე სამი დღეა, რაც ელენე ლევანის ოჯახში სტუმრად არის დანიშნული უფლებების საფუძველად და ეს სამი დღეა რაც ლევანის ოჯახში ქვიფი არ შეწყვეტილა. უამრავი სტუმარი სვამდა მისი მაშის ოჯახში და ამ სამს დღეს; დაუსრულებელი სიცილი და სიმ-ღერა ისმობდა იქ. ელენე, როგორც დანიშნული თავის აღარ იკავებდა და ლევანს თანამედ ექცოდა: ეტანებოდა, ხელს ზევდა, ეხვებოდა, მეუდრო ადგალას ქურდულად კონცედა და ანდობდა ჰატუქს. ისიც ღვინით და ალუბით დაშთავალი ფხე-ქვეშ დედა-მამას ველარა ჰგონებდა და ფრთხლად შესასული იყო.

დინჯი, დარბაისელი, გრძელ-ულვაშა მამა მისი, ქართული კაბის ყურთ-მაჯ გადავადებული მედიდურად

დაამიჯებდა სახლში, სტუმართ-მოყვარიობა და შეილი-სა და რძლის საქციელს თუმცა აშინებდა, მაგრამ არ იშინებდა. — თავადმა ზურაბმა ამ ერთი კვირის წინთ გლახებთან დიდი ბრძოლა გაიხსნა და გამარჯვებული დარჩა. ეს გამარჯვება მას ახარებდა, უფრო ამედიდურებდა.

— ასე ყოფილა, ასე იქნება. — ამბობდა იგი.

ელენეს სილამაზე, მისი სიყვარული, მამის გამარ-ჯვება, ყოველივე ეს ფიქრში ეგდა ლევანს, სანადიროდ, რომ მიდიოდა და ნეტარებაში იყო გახვეული. ოცნებაში წარმოიდგინა, თუ როგორ გაუხარდებდა ელენეს, დღეს ლევანი მოკლულ კურდღელს რომ მიუძღვნის.



ბუნდ შიფინი,
ს. ს. რ. კ. საეპრო წარმომადგენელი
საფარგეთში.

— უჰ! ნეტა ერთი მშველს შემახვედრა! რა სასიხარულო და საამაყო იქნება ჩემთვისაც და ელენესათვისაც! სადილად ვეცლა იტყვის, დღეს ლევანის მშველსა ვეპაო, როგორ გაიხარებს ელენე ჩემს სიყოლიას! ვეცაცისათვის პირველი სიყოლია.

მზემ ამოიწია. მთების თავები და მაღალ ხეების კენწეროები ოკროსფრად შვდება, ღრუბლები ნელ-ნელა გაფანტა და ცა გააშუქა. იმ სოფლამდის, რომელზედაც ლევანს უნდა გაეცლა, კოტა გზა ღა დაჩა. მინამ მი-ვალ იქამდის, მზე სულაც ამოვა, დღე დადგება და სო-ფელზე გავლა საშინო აღარ იქნებაო, ჰქვიფობდა ლევანი. დედას ტყუილად ეწინაა! ან-და რა არის საშინო! ხალ-ხისათვის მე რა დამიზავებია? რა ჩემი ბრალია, ყაზახე-ბმა სოფელი რომ აიკლეს! ელენეს მოსწონს კიდევ ყა-ზახები: ყოჩაღები არიანო, ამბობს. — ფიქრობდა ლევანი, ყაზახთა ერთმა აფიცებდა კინაღამ მოსტაცა ლევანს სატ.

1) დიხი სიყვარულის დროს ზურაბი და ელენე გამოწყვე-ლი გრძნობა. რუსულად ревности.

ი. ტ.

რყო... ამის მოგონებაზე ლევანს გულში დაზო¹) აენთო, ელენე ძალიან იყო გატაცებული² იმ აფიკრიით.

— ეინ იციხს ელენე იმ აფიკერს ხეგვოდა, ჰკოცნიდა კიდევ, როგორც მე მკოცნის ახლა, და...— გული ძალიან ეტკინა ლევანს, თავს ლანძღვა დაუწყო, რათ მოე-



აშ. გ. სადულო.

თმინე მაშინ ის ამბავი, რატომ არ მოვკალ ის... აფიკერიო. დღეღში უნდა გამოქმეწია ის აფიკერიო...— ელენეს მაშინ ღფრო შეფუყვარდებოდი, მისი გულისათვის კაცის მკვლელო, ვაჟაკობას, რომ დაგანახებდითო. — ფიქრობდა ლევანი. — მაგრამ, ეხლა გვიან იყო. მაშინ ლევანი შორიდან უცქეროდა იმ არზიყობას, რომელსაც მისი სატრფო უწეროდა და ჩუმაღ იყო, ხმის ამოღებასაც ეგრა პედეფიდა; ძალიან ტკბილად ექცეოდა თავის მტერს. მისი კარგი მეგობარიც იყო: ერთად სვამდნენ, ერთად სკამდნენ, ერთად დასვენდნენ ძალებს.

ფიქრობდა ოცნებაში გართულ ლევანს ცხვირში დამწვრის სუნე ეცა. თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა, მის წინ დამწვარი სოფელი იყო გაბადილი. ლევანი გაჩერდა და სოფელს ცქერა დაუწყო. გაგონილი კი ჰქონდა სოფლის ამბავი, მაგრამ ნახვით კი ჯერ არ ენახა.

ამ ერთი კვირის წინათ მოხდა ეს ამბავი. „ყახებები მოვიდნენ“ და სოფელი ამოაგდეს: ცეცხლით, მახვილით, ზარბაზნით.

ჯერ ისევ ზამთარი დაიწყო მოძრაობა. სოფელში ელოცა უცნობნი გაჩნდნენ, ხალხში დატყვებოდნენ, ხალხს ალევებდნენ, ხალხი, მეტადრე გლეხი ახალ-გაზრდობა გომ-ბოსლებში ჩუქ-ჩუქად იკრიბებოდა, მალულად თათბირობდა, რაღაცას ცუდს მოასწავებდა ღამის ეს თათბირობი და მალულად ჩურჩული. ლევანის მანა, თავადი ზურაბი, ამ ამბებს თავს ვაფიცუცეპით ადევნებდა და დღე-ღაღდა. იცოდა, ის ამბები მისთვის ცეცხლი იყო, აზრი

იმისი რაც სოფელში ხდებოდა მას ჯერ ნათლად არა ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ გულში შიში კი უკვე ჩაუდგა. მაშინ კი, როცა მოძრაობა გამოაშკარავდა და ერის დღეს თავად ზურაბის მოჯამავრებებმა მის მოჯამავრებობას თავი დაანებეს, როცა თავადის სახლში აღარც მებრე დარჩა, აღარც პურის მეცობელი და აღარც წყლის მომტანი, როცა კნინამ თავის სიცოცხლეში ბოსკლი პირველად გამოხეცა, მაშინ კი ძალიან შეშფოთდა თავადი ზურაბი და ცეცხლებსა ჰყრიდა. მის სიბრაზეს საზღვარი არა ჰქონდა. კნინამ აღარ იცოდა, რა ექნა: პური ეცხო, თუ მის ოჯახისათვის საშიში მოვლენები ედარდნა; განრისხებულ ქმრის თვალეში შემყურე ყოფილიყო, თუ დატყვებული პური ეჩივლნა; ხალხის რისხვისათვის ედღო ყური თუ წყალზე წასულ კნინების დარდი ჰქონოდა. ზურაბი კი ბრაზობდა, ცოფებსა ჰყრიდა და იძახოდა:

— სისხლი დაიღვრება, სისხლი! მთელი სოფელია ამოსაგდები! გაგონილა? რა უნდათ? მთაბარს ხომ ვერ გაასწორებენ? ბატონ-ყმობიდან ხომ განთავისუფლდნენ, სხვა რაღა უნდათ! ხელმწიფეს ეომებან? — მაგრამ მისი გაყოფება მაშინ უნდა გენახათ, როცა სწავლის წლის ზეაში მისი შვილი, სტუდენტი ლევანი რუსეთიდან შინ დაუბრუნდა და მამას ამბავი მოუტანა: — სტუდენტები გავიფიცენით, პოლიტიკურ თავისუფლებას ვითხოვთ.

— რაო? მისი შვილი, თავადიშვილიც გადარეულა? — შეუძლებელია! — და მამასა და შვილის შორის ბრძოლა ასტყდა. შვილი უმტკიცებდა, რომ იდეალებისათვის ბრძოლაა საჭირო; მამა კი ეტანებოდა:

— მაშინ ნახავ იდეალებს, თუ მამულები ჩამოგართვს და შვიერი დარჩა! —

მოძრაობა ვიდრე დასაწყისში იყო, ლევანი მამას ეურჩებოდა, მაგრამ როცა იფიქრა ხალხის გულში და რევოლუციის ტალღებმა მძლავრად დაჰკრა ძეგლს, როცა ხალხმა თავადებს ვენახები გაუკაფა, მიწები ძალით მოხვნა და ბევრ სოფელში დიდებულთა ქონების ცეცხლი მისცა, მაშინ კი შეეპარა ლევანს გულში შიში და გარემოდა ლევანი. — მამა პედეფადა შვილის დამარცხებას და დისკონოდა. მდგომარეობა კი საშიში იყო. აჯანყებული ტალღა რევოლუციისა უახლოვდებოდა თავადის ოჯახს და წალკეას უჭირებდა. მძლავრი ზომების მიღება იყო საჭირო და სწრაფი; დაუყოვნებამ არ იქნებოდა. მამასა და შვილს ჰქონდათ თათბირები ამ ზომების გამო. დღეებმა დეგამაზე მიდიოდა გუბერნატორთან მათი ხელმოწერილი — დაბმარებასა სთხოვდნენ.

სოფლის დანახვამ ლევანი გააშტერა. მის თვალ-წინ დანგრეული და ცეცხლისაგან გარუჯული სახლები იდგა. დამწვარ ხეს წვიმა დასდებოდა და ცუდი სუნი ასდიოდა, ნახევარი საფელი იყო განადგურებული. გაჩუმებული იყო სოფელი, ძაღლების ყუფიც კი არ ისმოდა. სოფლის ზოლის მშალოდ ერთი ძროხა იდგა და ბალახსა სძოვდა. განადგურებას გადარჩენილ სახლების კარბეც ამოქოლილი იყო და ამ დიდ სოფელში სიცოცხლე მიმქრალიყო.

დააკვირა ლევანი სოფელს და ნაწიწა სახლებს დაუწყო თვალებით ძებნა. — აგერ მისი ოჯახის ნათლი-მამის სახლი, სოფლის ერთ გონიერ გლეხის სოლისი. დანგრეულია. კედლები შავად შემოღლილი. ლევანს მოაგონდა, რომ სოფლის შვილი, ახალ-გაზრდა და ყოჩილი

შაქარო მამის თვალ-წინ მოჰკლეს ყახახებმა. სოფელი იწოდა მისი ცოდვით, სოლო რომ ღრიალებდა სახლის კარ-წინ მოკლული შვილის გვამზე დამხობილი. ყახახებმა კი მათარაფით ცემა დაუწყეს და გააქციეს. შაქაროს გვამი კი სასმ დღეს ეგვრო ენოში დადებარბაი. მამასახლისი დასაფლავების ნებას არ აძლევდა. სოლოს ლამაზი ქალი თებრო მთავალ ყახახებს ჩაუვარდა ხელში. გაუპატიურებდა უპირებდნენ, მაგრამ ხელიდან გაუსვლტა ყახახებს და ტყეში გაუვარდა. დღესაც არა სჩანს. ამჟამინე ჰქუდიან შვიშალო. — აგერ მიხას სახლი. იმასაც ის დღე დასდგომია: — თითონ მიხა მოჰკლეს ყახახებმა, ლევანის ხნისა იყო მიხა, პატარაობისას შეესიდა ბოლშე ცხენზე ლევანს და ასერიწნებდა. ნადირობაც იმან ასწავლა ნაიკონის შვილს. მიხას ცოლი კი ვერ გადურჩა ყახახებს და მანამუ ახადი, გაუპატიურებული ეხლა მამის სახლშია სხვა სოფელში.

ყოველივე ეს ლევანს გაგინილი ჰქონდა. ნახვით კი პირველად ნახა.

ამ სურათების ტყვარ ერ ესიაშოვანა ლევანს შიში, დღემდე რომ ჩაუღო გულში ლევანს, ეხლა გაძლიერდა და ლევანი აქეჭარა ამ არა სასიამოვნო სურათს მოშორებოდა. ამიტომ უტბად მოტრიალდა და ჩქარი ნახევით გაანაგრძო გზა. ერთი ნახევარი ვერსით უნდა გაეყოლო ლევანს და მოშორდებოდა სოფელს. ფესს აუჭქარა და თავ-ჩაღუნული მიდიოდა. თოფი მხრიდან გადმოიღო, ორივე ღელში ტყვიით გატენილი ვაზნები ჩაალავა და ხელში მარჯვდნე დაეჭირა. უფუჭრელად გაიარა მის სოფელი და ის იყო თავისუფლად უნდა ამოესრუნებინა, რომ სოფლის ბოლოს გზის პირად მუხა დიანახა და შეჩერდა. მოაგონდა, რომ ამ მუხის ძირას ყახახებმა თორმეტი გლეხი აკეჭეს ხმლით. ლევანი დააკვირდა მუხას, მის ძირას მიწას და იქ შავი ლაქები შენიშნა, აქა-იქ ჩრდილსავით დაფენილი. საეჭირო დაკულტურტის სტუდენტის იყო ლევანი და მალე მოისახრა, რომ ეს ლაქა სისხლისა იყო, მისაგან მოთუთქელისა და ამიტომ ვერ წაშლილიყ მისი ნიშანი. ლევანმა დინჯად გაუარა ამ მუხას და თავისი გზა განაგრძო. ის გრძნობები და ფიქრები, რომელიც წევან სოფლის ქუჩის დროს მოაწვა ლევანს უკვე ვანქდილი ჰქონდა და აღარ განუშეორდა. გულ-გრაღად განვლო მან წამების ადგილი და მხოლოდ გაიფიქრა:

— ну, что-ж! Борьба! Так и должно быть! —

მხენ კარგა მალა იოჩია და დაასტუნა. გზის ბრვე-რი წაღებს თეთრად დაედო და მათი წვლანდელი ლაპ-ლაპი დაჭარა. ლევანი ეხლა მიწდორზე გავიდა. ტყეც გამოჩნდა. აქ ისევ ვანიტია შიში. გასული ბიჭები ტყეში იზილდებოდნენ ყახახების შიშით დამუერთხალი და იმათი შეეშინდა ლევანს. კვლამ იცოდა, რომ სოფელს ყახახები ლევანის მამამ შეუსია, მისი მოთხოვნით გამოგზავნა მთავრობამ ყახახები და მისი მოთხოვნის სდევ-ნიდნენ მოძრაობის მეთაურებს და სოფელი, თუმცა შე-შინებული, გადამტერებული ჰყავდა მის ოჯახს. რა საკი-რველი იქნება, თუ ეს გასული ბიჭები ლევანს ტყეში დაიბარებულბენ და საპატიგროს უტბანენ! მაგრამ ლე-ვანი ერბაშად დაამშვიდა იმ მოსახრებამ, რომ ახალი აქტების შიშით სოფლებში მას ხელსაც ვერ ახლდნენ. აქტიბი თამამად განაგრძო გაა. — ისევ მოაგინდა თავისი ელენე, თავისი პირობა, რომ მას დღეს ნანადირევი უნდა

მიართვას და ისევ გაიტაცა ოცნებამ. წარმოიდგინა ის წუთი, როცა ელენეს საესებით დაისაყუთრებს, დასტყე-ბა მისი ლამაზი გულ-შეგრდის ცქერით, მისი სილამაზით, მისი სხეულთი. აჰან ლევანი ნდომის გუნებაზე მოიყვანა, ააღელვა მისი ცაკობა და მთლად დააიფიყა ის, რაც წე-ლან განიცადა.

ოცნებაში გართულს გვირდნე ნათლი-მამამ გაუარა. ტყიდან მოდიოდა. სოლოს თმა-წვერი მთლად გასთთრე-ხდა, თვალები ჩასკენივდა, განმარბიყო, ბეჭეში მო-ლუნლუიყო და ვარამის და კეშნის ბეჭეზე დასდგომო-და მის სახეს. ლევანმა თავი ასწია. სოლომონმაკ მიიზრ-ნა მისცე თვით და ჩუმად, უსტყველ მისცა სალაში — ტყე-ში მოუხადა. ლევანმა სოლოსი მხოლოდ თვალში დაი-ნახა. იქ იმდენი ნალეული იდგა, წამების იმდენი ბალა-მი, მაგრამ ამ თვალბრმ ლევანმა სხვა რამეც შენიშნა: ეს იყო სიძულელისა, და მექარის მისისხანე ნავერწყალი; ჩუ-ში სიძულელისა, უხილავისა, მაგრამ გულში ღრმად ჩაფლულისა, ამას ლევანმა თვალბრმ სწრაფად აარიდა, სალაში ჩემი გამარჯობაო, უსახუბა და თავ-ჩაღუნულმა ჩქარა გაიარა. არც ერის არ მიუტენდია უკან, ისე გან-შორდნენ ერთმანეთს.

ამ შეხვედრამ ლევანს სოფლის წელიან ნანახი სურა-თი მოაგონა, მიხვდა ლევანი, რომ ის ნავერწყალი, რო-მელიც ეხლა მან სოლოს თვალბრმ დაინახა, მარტო იქ არ იყო; იგი კველგან ეყო — ხალხის გულში ჩაფლული სიძულელი, რომელმაც პატრება არ იცის.

— დაჩრდნე ეს გრძნობა ხალხში თუ გაჭქრება და ხალხი ქედს მოიბახს. გვაპატრებს თუ არა იგი კველა ამის! მაგრამ ვაი იმისი ბრალი, ვინც ამ პატრების ვერ ელისრება, ვინც ხალხის გამარჯვებას მოესწრება! — ლე-ვანი ამ ფიქრებში გაება და ტანში გრუანტელმა გაუარა.

— ასე ყოფილა, ასე იქნება! — მოიგონა მან მამის სიტყვები და შიში განიფანტა.

ამ დროს ტყეშიც შევიდა. ყოველივე დააიფიყდა. ჯირკვზე ჩამოვდა და იმის ფიქრს შეუდგა, თუ საით წა-სულიყო და რ-გორ ენადირა. თუ შველი არა, ყურდღე-ლი მაინც უნდა მოჰქალს. მათს ტყეში ბეგერა ნადირი. აქ ნადირობის ნება მარტო მის ოჯახს ჰქონდა, ამიტომ ნადირი ძალიან იყო გამარჯვებულ. ამ მოძრაობის დროს კი გლეხებმა ძალიან დაახიანეს ტყე; ბეგერი ნადირი გასწ-ვერტბა და ტყეც გადაიხეხეს. ლევანმა გადასწყვიტა მოი-საყენ წასულიყო. იქ ხვევია, კლდეები, მშულები მარილზე ჩამოდიან და შეიძლება შემხვედეს.

შუა დღე დადგა. ჩამოცხა ლევანს ოფლი ჩამოდიოდა სახებზე და ხელსახოცი იწმენდა. ხელსახოცს კი „დუ-ხის“ სუნით ასდიოდა — გუშინ ელენემ დაესხა ხელსახოცზე. ლევანს აჰან კვლავ მოაგონა სატრფო. მისმა სუნმა კვლავ ააღელვა იგი, კვლავ მოჰგვარა სურვილი ჩქარა დაესა-კეთრებია დანიშნული.

დიდხას იარა ლევანმა ტყეში, მაგრამ ვერაფერს შეხვდა. ერთგან მელია წამოშობტა ცხვირ წინ, მაგრამ ისე მალე გაეცქრა, რომ ლევანმა მოსახრებაც ვერ მოასწრო. ლევანი ტყიან მთას შეუდგა. აბდომოში მას დღესტინზე მეტი ტყე იყო გლეხებისაგან გააფულე და მონადირის საიმიდო აქ არა იქნებოდა რა. ხელსახოცის ქნევით, ნე-ლის ნახევრით მიდიოდა იგი აბდომოზე და ოცნებობდა. ოფლში მთლიან იყო დასეგლუბული. სწყუროდა. ცას გა-

ხელა, საადგროსა, და შავი ღრუბლები დაინახა. „იწვი-
მებს“—გაიფიქრა მან:—„აღდა მეუბნებოდა და არ და-
ეუფერე, „პლაში“ არ წამოვიღე“. წყლის დასალევად
წყაროსკენ გასწია. იქ ხერხელები აირს. თუ წვიმა მო-
ვიდა, თავს შეაფარებს ეს კი იღუშებოდა, უკვე დააგ-
ვირა კიდევ, როცა ხეში ჩავიდა, წყაროზე წყლის და-
სალევად.

— ეხლა აქ მკადვებს ელენე! რამდენს ვისამოვნებდი!
მეორეზე წამოვიყვან!—კარგია ბუნების წიაღში ლამაზი
ქალი და წმიდა სიყვარული.

წყაროსკენ ხე-ხე სოფლის სამი ბიჭი მოდიოდა,
თოფიანები. დაინახეს ლევანი; მამინე შეზრდნენ და
გაბრუნდნენ, თვალს მიუჯერნენ. ლევანმა იცოდა ისინი:
გასულნი ბიჭები იყვნენ, ტყეში რომ იმალდებოდნენ. ლე-
ვანმა ამ ადგილს მოშორება იჩინა და ხეებს აჰყვა ზეე-
ზეით. ერთ ადგილს მარილიანი ტრინი. მშველემი შეა-
დლისას იქ მამლიან წყლის დასალევად და მარილის სა-
ლოკავად. ერთი ნახევარი ვერსი კიდევ უნდა გაეცლო
ლევანს, მაგრამ წაღებინა ხევის რიყეზე სიარული უჭირ-
დებოდა უწევდეს და ჩქარა ვერ მიდიოდა. დაიჭვა. ცამ
მსხვილი წვეთები წამოყარა. რიყის ქვეშ წვეთები მსხვილ,
დიდრონ წვეთებად ეცემოდა; ხეების ფოთლებზე ტაცუ-
ნობდა, რომ წითლი შემდეგ კი გაიფიქრა, დაჰყა და გა-
ზაფხულის მსხვილმა, შხაჟნა წვიმამ დაუშვა. ლევანი
ხშირ ტყეში შევიდა და ერთ ღამეს შეეფარა, იყო-
და, რომ ერთ ორას ნახევარზე ხერხელი იყო ტყეში და ეხ-
ლა იმას ეფიქრობდა, თუ იქამდის როგორ უნდა მისულიყო.
მუშამ ლევანს ჩამოუშვა ფოთლებიდან ძირს წვეთები.
წვეთები უკვე ქუდას და მზრებზე ეცემოდა და ხელ-
ხელა ასეულებდა. ბოლოს წვიმამ იქცო. თითქმის შედგა
კიდევ. ლევანმა დრო იხელა და ხერხელისკენ გაიქცა,
სადაც მალე შეაფარა თავი. დადგა ბერგლის შესავალში
და ბუნების მოვლენას დაუწყა ცქერა.

— გადიღებს, მაღლ გადიღებს და შინ წავალ.—ფიქ-
რობდა ლევანი. ნადირობა კი დაეიწყა.

უტყა ხერხელის შიგნიდან ჩამი-ჩენი შენოსმსა. თით-
ქოს ვილაქამ შეტყველა კიდევ. ლევანი შეკრა. თოფი
მოიმარჯვა და უკან მიიხედა. „ნადირი იქნება!“—გაი-
ფიქრა მან. დააკვირდა შიგნი სიბნელეს და იქ რაღაც
თეთრი შეინახა. მრავალად იღო კლდის ძირის და კი არ
ინძროდა.

— ნადირია!—კიდევ გაიფიქრა ლევანმა. მაგრამ ისიც
მოისაზრა, რომ წელანდელი ხმა ადამიანისასა ჰგავდა.

— ვინა ხარ!?—დაიძახა ლევანმა, მაგრამ პასუხი არ
იყო.

— ვინა ხარ!? გაიმეორა ლევანმა და შენიშნა, რომ
სიბნელეში რაღაც შეიმჩრა. მაშინ ლევანმა ასანთი გაჰკრა
და მიუხედავად. ქალი იყო. წვიმით გაუწყნელი, გატა-
ლიანიხედილი, კლდის ძირის მიკრქნულიყო და კრთოდა.
მაყვალსავე შავმა, დიდრონმა შიშით სასუნე და ასანთის
შუქზე მოაღვათაჲ წყვილმა თვალმა შენათა ლევანს. ლე-
ვანი შეაკრთო ამ თვალბმა. ქალს გრძელი, შავი და გა-
წყნელი თმები დაჰყრდა მხრებსა და მკერდზე, რასაც
დაფიქრებული ქაბა ჰქონდა ფარავდა.

— შენა ხარ თებრო?—შეეცითა ლევანი:—აქ რას
აკეთებ?

ეს იყო სოფლის თელი თებრო, სოფლის ქალი, ლე-
ვანის ღედის ნათლული. ქალმა თავი მკერდზე დაიღუნა
და ზედ ხელები დაიფარა. ლევანი სახრისობდა. ბოლოს
უთხრა:

— ნუ გეშინიან, თებრო, მე ვარ, ლევანი, ბატონი-
ანი ლევანი. ადექ აქ რას აკეთებ?

ქალმა თავი ასწია და უკვე შიშ დანელებულ თე-
ლებით შეხედა ლევანს.

— შენა ხარ, ბატონო! მე კი ყახხი მეგრანე.—სუ-
ლაქ არა ჰგავდა ვიეს, როგორც ხალხი ამბობდა.

— მეშინიან, მცია!

— ადექ! ცეცხლს დაეიფიქრა. მეცა მცია.—უთხრა
ლევანმა. მან ჩინებარი მოაგროვა და ცეცხლი დაანთო.
ხერხელში ბოლი დატრიალდა და ცეცხლმა გაათბო და
განათა იქურობა.

— ადექ, ნუ გეშინიან, გათბი.—უთხრებოდა ლევანი.
ცეცხლის დანახვებზე თებრო წამოხტა, სიერცეს გა-
ხედა, თმები იტყა ხელი და დაიწყოლა.
— დასწყეს!, სახლი დასწყეს! წვილის ხმა ხერხელ-
დან გარედ გავარდა და სველ ჰაერში და წვიმის შხაჟნ-
ში ჩაინთქა.

— შექარო!—კვლავ დაიწყოლა ქალმა—ძმოი!...
მოჰკლეს... აგერ ხანჯალი...

მთელი ტანით ძაგაგებდა, თვლები დააჰყრდა და
თმებს იგლეჯდა. მერე მუხლი მოეკეცა და მიწაზე დაე-
ცა. დაჰყრული თვლები ხერხელის კამარს მიამტერა და
არ ინძროდა. მხოლოდ რთოდა და რაღაცას ბუტბუ-
ტებდა. მის ტუჩებთან ლევანმა ყური მიიტანა და გაი-
გონა ქალის სიტყვები:

— მოჰკლეს... მოჰკლეს... მოჰკლეს...

— რა ლამაზია,—გაიფიქრა ლევანმა—რა გასაკვირ-
ველია, რომ ყახხებს ამისი თავი მოენდომებინათ!

ქალი დაშვიდა. ლევანმა წამოაყენა იგი და ცეც-
ხლა პირს დასხა. ჩანთიდან საგზალი ამოიღო და თებ-
როს მისცა. მშობი ქალი ხარბად ეცა საშუალო და დიდი
ხნის უქმელმა მალე გაათავა, ლევანმა კიდევ მისცა ჰური
და ქათმის ხორკი. ქამის შემდეგ ქალი დააქცერდა ლე-
ვანს და წაიღულა:

— სად იყავ, ბატონო, რატომ არ მოგვეშველე! შენ
ხომ შეგეძლო ჩვენი შევლა? დავგლეჯეს. მთლად ამოგ-
ვადეს უღანაშულოდ. მამაც მომიკლეს, ძმაც. ჩემი კარ-
გი შექარო!

— სოლო არ მოგვლავთ!—გაეცირებოდა უთხრა ლე-
ვანმა:—ყინ ვითხრა?

— მე ენახე: მამაც მომიკლეს, ძმაც.

— არა, თებრო, ეხლა ენახე მამაშენი, აქეთ რომ
მოვდიოდი. ტყიდან მოდიოდა. ალბათ შენ გეძებდა.

— არა, მოჰკლეს. მე ენახე, მოჰკლეს.

ვერ დაარწმუნა ლევანმა ქალი თავის სიტყვების
სიმართლეს. თებრო არეულობა ლაპარაკობდა: ხან რომ
დალაგებული იყო მისი ლაპარაკი, ხან სულ უფრო.

დახეულ კაბაში მას სხეული უჩანდა; თუმცა ქუქუი-
ანი, მაგრამ მაინც ქალური კანი ტანისამოსის დახეულ
ადგილებში მოსანდა და ცეცხლზე ლაპარაკებდა. ლევანი
აგვირდებოდა ამ სურათს.

— მამა ცოცხალია, ამბობ? — შეგკითხა ლევანს ქალი. შეშლილობის გამომეტყველებით სავსე თვალებში, შიშთან ერთად იმედი და მუდარა იქცირებოდა.

— ცოცხალია, ქალო!

თებროს სახეს ნორმალური გამომეტყველება მიეცა. ისევ თვალებში შეისკვებოდა ლევანს, თითქმის იქ უნდა წაეთქია მართალს ამბობდა ლევანი თუ არა.

— ეს ლამაზია ელენეზე, გლეხის ქალი კია! — გაიფიქრა ლევანმა: — ბუნების წიაღში ლამაზ ქალსა ენატრობდი და ღმერთმა მომცა. — თან ხელი ზელში წაავლო ქალს.

— ცოცხალია, მეტიკი. — თითქმის უნებლად წამოიძახა ლევანმა, თან თვალს არ აშორებდა. მერე ხელი შიშველად მკლავზე წააღო. ქალის სიახლოვემ, მისმა სილამაზემ, მისმა შეშველმა სხეულმა, სიცივის შემდეგ ჯანში გამჯდარმა სითბომ, ხერგის სიბნელემ ნდომავზე მოიყვანა ლევანი. გაიფიქრა, რომ უკაცური ადგილია. ყველაფერი დაუწყველად ჩაველის, მეტადრე ეხლა, როცა გლეხობა დაშინებულია და ქალს აკოცა. თებრო ლევანის საქციელს ჯერ ვერ მიხვდა და ხმა არ გასცა. მხოლოდ გაშტერებული უტკერდა. წელიდანებურად თავის ფიქრში წასული. ლევანმა მეორედ აკოცა და შემდეგ გაშამკებულად დაუწყო კოცნა. ეხლა კი მიხვდა თებრო ლევანის სურვილს, წამოხტა, ხელიდან გამოუსხტა და გაქცეა.

— ისეც ყაზახია! — შეგკილა მან.

— ლევანი დაედევნა, დიპიკი და ხერგის სიღრმეში შეიკვანა. მაგრამ მოშპია ხელები, ნებთერნა ჯანმა, სითამამემ, ყველაფერმა ერთად აღძრა ქალების ჩვეულ ლევანის სურვილები. ისევ დაუწყო კოცნა. ჰკოცნიდა შეშლილს. ჰკოცნიდა სახეში, შიშველ ტანზე, საცა კი იყო ეს შიშველი ტანი. თან ქალის წაქცევას ცდილობდა. თებრო უქმლიანდებოდა. ჯერ წოდა. შემდეგ მუდარა დაუწყო.

— რას ჩაღიხარ, ბატონო! — კანკალით ეუბნებოდა თებრო! — ლევანს კი არა ესმოდა რა.

— გამაშვი, ბატონო, არ დამლუბო!

ლევანი არ უშვებდა. მხეცი გაღვიძებული იყო. თებროს ისევ ჩაუდგა სახეში შიში, შეშლილობა, ისევ აუტრდა კანკალი. ლევანს ჭეჭქითი და მტვრით გახოკილი და წვიმიით დასველებული თმა სახეში ხვდებოდა, სველი კაბა მისი ლევანს ფეხებზე ეკრებოდა. ქალის თმებისა და ტანისამოსის ჭეჭქი ლევანს სახესა და ხელებზე მოეცო. მაგრამ ლევანი ამავეს ყურადღებას არ აქცევდა. საუკუნოებით ყოფილა გლეხი თავადის მონა და დღეს ლევანს რა შეჩერებდა! —

ლევანმა დასძალა ქალს: წელში გადახარა და ძირს დაუშვა.

— მიშველოთ! რუსის ყაზახებს ვადურბი და ეხლა ქართველი თავადიშვილი მხდის ნამუსს. — წამოიძახა თებრომ და გული წაუღია. —

როცა ლევანმა იმის მოიკლა, წამოდეგა, გაიშრობა და ცეცხლს მიუგდა. მის წინ გულ-წასული ქალი ესვენა. ისევ შეჩვილად ლევანს გასვრილ-გატალახიანებული ქალი, მისი დასვლითი ტანისამოსი, დაკორმებული და იარებით მოსილი ფეხები და თუმც ლამაზთ მოყვანილი, მაგრამ უბანელი კანკები, კაბის გარედ რომ მოსჩანდა.

წვიმას გადაეღო. მზე იცქირებოდა. მის სითბოზე სველ დედამიწას ორთქლი ასდიოდა. ლევანმა თოფი აიღო, ხერგლიდან გამოვიდა და გაიქრდა. მერე ვერცხლის საპამიროზედა პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა და ხანტად წაიღო. ისევ ვაშორდა იმ ადგილს, რომ უკან არც კი მიუხვდნია იქით, სადაც გულ-წასული, გაუპატრებული შეშლილი ქალი იწვა მიწაზე. — წვიმის შემდეგ მზე ფურცებად იყო, დედამიწიდან ასულ ორთქლისაგან ძველი დამბიმებული. ნაწვიმებს ხევში წყალს ემატნა და ლევანი ისევ თავისუფლად ველარ მიდიოდა როგორც წელიდ მოვიდა. წყაროზე პირი დაიბანა: გაიბანა ის ჭეჭქი, რომელიც მის სახეს და ხელებს მოეცო თებროსთან ბრძოლის დროს, მის თმებისა და ტანისამოსისაგან. სახე გაიკრილა, ტანისამოსი გაისწორა და ფეხ აქაჩრებით წავიდა შინისაკენ: არ უნდოდა, რომ ამ ადგილებში ვისმეს მოესწრო. სადილობაც გადასული იყო და შინ სადილად ელოდებოდნენ. უკვე სრულიად გულ-გრილად გაუარა მუხსა, ნათლი-მამის სოლოს დამწვარ სახლს, დანგრეულ სოფელს. დილანდელი თავისი ფიქრები თავში აღარ მოსვლია. დაივიწყდა, რომ ამ დამწვარ სოფლის ნამწვავების ძირში ჩამალული იყო ის ნაპერწყალი, რომელიც წელიდ მან სოლოს თვალებში დაინახა, რომელმაც წელიდ შეაშინა და რომელიც იქ იმპიტომ ლეიოდა, რომ ერთ დროს ერთ თმდ ცეცხლად სამაგიეროს მისს ააგელა. წაელეკა ყველა, ვინც ეს ნაპერწყალი ჩაადგო ხალხის გულში.

აივანზე ელენე იდგა და გზას გაჰყურებდა. ლევანს ელოდებოდა. ლევანმა შორიდანვე მოჰპოა მას თვალი და გაიცინა. მოაგონდა დანაპირევი, რომ თავის სატრფოსათვის მშველი უნდა მოერთმია და ხელ-ცარიელი კი მიდის მასთან.

— რომ იკოდეს რა შველი მოკალი დღეს, სულ სხვა გუნებაზე დადგება! — გაიფიქრა ლევანმა და ელენეს გაუცინა.

უკან კი დამწვარ-დანგრეული სოფელი და ნამუს-ახილი ქალები დარჩა.

ს რ ს ე ნ ა

უბილაზე ხელმა წაშალა
ვარსკვლავი თანდათანობით;
თინათინ ფარავს თავშალი
შინ მივა წელი გლობით.

სდუმან ავლაბრის სახლები;
გამკრთალდა შოვარეკ გვიანი;
მას არეინ არ ეახლებოდა,
ბრუნდება ნათელ შუბლიან.

არსენას ცხენის ქენება
კიდევ მოისმის შორიდან;
როცა მზე ჩაესვენება
ამბავი მოვა გორიდან:

„ატლასის ფარსა ნაქარგი
მინდა გვეწვოდეს კაბათა;
თუ შენ არსენა დაქარგე—
ატარე მისსა ამბათა.

ასაოხრებლათ წავსულვარ
მსოქან, ფაშვიან ვაპირათ;
აე თვალთ არ დავანესულვარ
არ ვდარდობ რაც დამემართა!

ბოროტის სისხლის დიდები
მალამთ მომირჩენია,
და ციხის ბნელი თაღები,
არსენას ტყვილათ ელიან.

გულს მიდევს შენი ბაღადი;
გორიდან მცხეთას ეაპირებ;
თუ ვიქენ ისევ ნაღდათა
ბოდბისხვეს გაეინაპირებ.

თუ სასიკვდილოთ დავიჭერ,
თუ ჩემი მკლავი წახტისა,
წითელ კერცხს ვეღარ დავიჭერ,
ჩემი სიზმარიც ახტისა“.

თინათინ კაბას აჩქარებს
არსენას გისახარათა;
შოვარესაც კი არ აკარებს
ჭკარავს, დამღერის წყნარადა.

არ დარდობს; სჯერა ვეფხობა
გულ მკერდის, ფართე მხრებისა!
არსენა არ დაემობა,
არა აქვს რიდი მტრებისა;

მაგრამ რა ნისლით მოკუღლა
მუხათ გვერდისა ჭაღები!
თინათინ ჩუმათ ლოკულობს,
სტირიან ფართე თვალები.

მკლავებზე დიეცვინთება,
სიზმარსაც ნახავს მწარესა;
ხედავს:—სანთლები იხთება
აკლდება შუქი მთვარესა;

მოაქვთ მცხეთისა მხარიდან
ყაჩაღებს შვენაბდიანებს
მკვდარი არსენა მხართა,
შორი გზით დანაგვინებს.

წვერები სისხლით დასვრია,
და ველარ აღებს თვალებსა;
გულში ხანჯალი ასვია,
აქცევს სისხლისა ღვარებსა;

მისი უღელაში გრეხილი
ბაღადით დაუბრიათ;
და ხმალი გადატეხილი
ეაქარსა მოაქვს ღირას.

თინათინ წამოვარდება,
იდგება გარტყტებული;
ხედავს, რომ მტყვარი შავდება,
და მოდის ადიდებული;

ამბობს: „სიზმარი ტიალი
ტყუილად არ გამლანდებია!“
ორი მხედარი გვიანი
შორი გზით გამოჩნდებიან.

ალაყდს მოადგებიან
ჩამალახებით ბურვილინი;
თინათინს ეუბნებიან:
„გვახარობს სიციხე და წყურვილი.“

მოესულვართ შავი ცნობითა,
გზა დიდი გაგვიარა;
კუჭანტლის ვერავობითა
ჩვენი არსენა მკვდარია.“

ამბობენ: „შენი ბაღადით
ჭრილობა დაუფარეთო,
და ძველი ქართლის ადითი
მიწასა მივაბართო.

არსენას ნაან დერძები
სურვილი შევიასრულეთო;
დავკალით დიდი გერძები
მშვიერნი დავაჟუერთო.

გვთხოვა გვეამბო საჩქაროთ:
„ხელი გაიხიბა მტერთათო!
წითელი კაბა ატარე
არსენას მოსაგონათო.“

არ დასწვა ჩემზე სანთელი.
არცა ცრემლი ღვარო ცხელი;
აქაც კარგი ვიყავი,
იქაც ნათელსა ველიო!“.

ზამთარი.

(დისკონანსები)

თოვლი მომბრძანდა ტენორის ყელოთ
და უსპეტავეს ხელთათმანებით.
შეხვედა ქალაქი ქუჩუიან ხალით,
შეხვედა სიჩუმით, და მოთმინებით.

გრივადი მოდის ურიცხვ ჯარებით,
როგორც ზიგურდი და მენელია,
მოდის ყინვებით—ქერა დარაჯებით—
და გამოუცნობ ლამის მელანით.

ზამთარი მოდის თავის ტეროროით,
მან დაიკავა ყველა ქუჩები.

ზამთარი მოდის ვით კომანდორი
და გარბის ხალხი შენაქუჩები.

ლამურასავით დაფრინავს ქარი.

დაახლო ბავშვი მან უპატრონო.

როდის გადნება ეს თეთრი ქერი
და წაშედება ლამეოტრანა?

მე ვარ გაკრული ცივ პაემანზე;

მაგრამ არ მოდის ჩემი ინფანტა.

მწარედ ვოცნებობ ეის და რამინზე,
და თოვლისაგან მთლად გავიპნეტე.

თუ მოვესწარი მე გათენებას,

თუ ქარიშხალის შეწყდა თარეში,

თუ დაველწიე თავი ანთების,

წავალ, რომ გაეთბე, ხვალ ოპერაში!

ვალერიან გაფრინდა შეილი

ალექსანდრე გუმილი.

ქალაქი

ახალ ცხოვრების, ძვერით ხმაური,
ზურმუხტ ნაგები ტანი ფოლადის,
მრისხანებაში, სდგას საცნაური
გველი ქალაქი, მხნე გოლიათი.

ახუჩავს თავზე, კომლის გვირგვინებს,
აწვერილ ქარხნის მაღალ ზურგზე,
ვატყუორცნილ კვინსით, ამოიგმინებს,
ოკიხა დამდნარი მის შავ ტურეტზე.

როგორც ფრინველთა, გუნდი დაშლილი,
მის ჯოჯონეთურ ალში ქრებიან,
სწრაფ ტრამეაგების, წყება გაშლილი
მალლიდან თქვეშით დავარდებიან.

ჯავარიან კლდის, დიდი სახლები.

ათას მიწებით გაკრილა ქვაში,

არეულ ენებით გადაეხლებია.

გიჟური ხედვა მტრედისფერ ცაში.

არ უჩანს ბოლო ჩაქცეულ ქუჩებს,

ხროვია ხალხისა, კივილს დანებდა

სამარადისო ქუბილს აქაჩებს,

მშრომელთა ოთღის ძლიერი ნება.

ქალაქი კვეთავს, ალში სფრეილებს,

შხარეა იგი, მკერდ ვალადრული

მასში გრივალთა ტან-შებოჯილებს,

უნთითათ სისხლი ჩამოღვარული.

ქალაქი მძლავრი გაუტყელები,

და მოგზაურთა, ბედის ვარსკვლავი.

დროში ამართა, სისხლისფერ ხეჯით,

და შრომის უფლად მავარი მკლავი.

თარგმანი: გიორგი ლავგამაძე

ყ ა ზ გ ე მ ი ს ს ა პ ი თ ი

ეს ძველი ამბავია.

ბავშობისას გამიგონია: თითქო ალ. ყაზბეგის თხზულებათა დამწერი სხვა ყოფილიყოს. გამიგონია ისიც: თითქო ეს უცნობო ავტორი მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი ყოფილიყოს.

ზეგის ეპიკური შექსპირის ავტორობა. ალ. ყაზბეგის ავტორობაში რომ დაექვედნ—რა ვასაკვირია?! საეკირელო სხვა რამ არის: როცა ასეთს ეკვებს უსუსური კვლევის ამბარებენ.

ასეთ კვლევას ეკუთვნის ვინმე მიხ. ზანდუელის ნაშრომი.

მე არ მაინტერესებს პოლემიკა და არც მიყვარს პოლემიკური არგონი. თუ სიტყვა „უსუსური“ ვიხმარე ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა უფრო შესაფერი სიტყვა ვერ მოვიხატე.

ჩემი მიზანი სხვაა. მე მსურს ავნიშნო მხოლოდ, რომ სხენედილი ავტორის სხვადასხვა საბუთი ან არის მცდარი და ან არის უცმარი: ან ორივე ერთად.

ავტორი ირწმუნება მრავალგზის, რომ შემოქმედება ცხოვრების გარეშე არ არის.

ეს შაბლონი ისე გაცემთილია, რომ იგი ყველა იცის. საკითხი სხვადასხვა მოპირენებაშია: ცხოვრების რომელი ხეული გახმარდა მწერლის შემოქმედებაში და რა გზით: პირდაპირით თუ მოხვედრით, ხილულთ თუ უარულთ. ფრაიდილს ფსიხონალიზი სწორეთ ასეთიანია—თავა გამართული.

სხენედილი ავტორის მსჯელობა კი ყოველგვარ სერიოზობის გარე დგას. იგი ვრცლად მოგვითხრობს ალ. ყაზბეგის ცხოვრებას:

იგი ფუფუნებაში და განცხრობაში იყო აზლილი, იგი იყო ნებიერი და ნებასუსტი, იგი ფლანგავდა ფულებს, იგი იყო სიმულანტი (ერთხელ ქალის სიყვარულიც მოიგონა), მან სწავლა ვერ დაასრულა, იწყი იჯარების აღება და ვერაფერი გააკეთა, გახსნა სასაბიო ეპოქა და ვერც ის მიიყვანა ბოლომდე, მას უყვარდა ფუქსავტი (გარტობა, როგორც მაგალითად ფეოდალი ყოჩების აზნა მარტო მისი „ბაბარა“ რად ღირს) და სხვა—და აქედან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს:

„აშკარაა, ყველაფერი, სამწუხაროდ, ისე ეწყობა ალ. ყაზბეგის ცხოვრებაში, რომ უნდა შეფერხებულიყო, უკეთ რომ ესთავი, დახმარებული გზით უსუსური მისი ნიქისა და ძალების განვითარება დაკნინებულიყო, გაფანტულიყო, მოღუნებულიყო“.

აა მართლაც რომ „უეცარი“ დასკვნა!

ავტორმა ან არ იცის მწერალთა ბიოგრაფიები, ან—და განგებ იფიქრებს მათ, ისტორია მოგვითხრობს, რომ მწერალთა უმჯავლესობას შემოანიშნული „ცოდნები“ ახასიათებენ. ალ. ყაზბეგი ვერ განებობდა თვალსაჩინო მწერალი, რადგან იგი ცხოვრებაში ასეთი და ასეთი იყო. ამ ახიერებულ დებულებას რომ გავკვეთ, მაშინ მწერალთა ოთხმოცდაათი პროცენტი მწერლობიდან ამოვარდებიან. შორს რომ არ წავიდეთ, აკაკი წერეთელი შეგვიძლია გავიხსენოთ მაგალითისათვის: არა მგონია, ისეთი რაიმე „ცოდნა“ ჰქონდეს ალ. ყაზბეგს, რომელიც იმავე

დროს აკაკი წერეთელს არ ახასიათებდეს. მაშ გაავრცელეთ მათ ეს დებულება! შედეგი იგივე იქნება.

სულ სხვა ენებობა, ავტორს რომ გამოენახა ალ. ყაზბეგის ცხოვრების რომელიმე ხაზი მისი რომანების რომელიმე ხეულში: თუ გინდ მისი სიმულაცია—მაგალითად რუს ქალთან რომანის მოგონება, მაშინ კვლევა სულ სხვა მიმართებას მიიღებდა. მაგრამ ავტორს ეს არ აინტერესებს.

ავტორი ეტება ალ. ყაზბეგის ნაწერებს. იმავე წაშში ნახულობს მათში კაინსა და აბელს, ერთი ჯგუფი ცუდია, მეორე ჯგუფი კარგი. იგი არ ცდილობს ახსნას, თუ როგორ თავსდება პირველი ჯგუფი და მეორე ჯგუფი ერთსა და იმავე ავტორში. იგი თავისდნევა იმაში დარწმუნებული, რომ პირველი ჯგუფი ალ. ყაზბეგს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი სხვას უნდა ეკუთვნოდეს. ამ მტკიცებას იგი სხვადასხვა გზით ასაბუთებს. ხოლო არც ერთი გზა არ არის სწორი.

პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: „სკენები“, „ფათი“, „ჩინოვანი ელფრთი“, ბედ-შავი“, „მტრელი“, „ელფონოზი“, „ცხოვრების ჩარხი“, „ნინო“ და სხვა.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან: „ციცკა“, „ელფუქა“, „მამის მგელელი“, „ციკო“, „ელფი“, „ციცკა“, „ნინო“, „ბერდია“, „ელბერი“, „ხევის ბერი გოჩა“, „ნამწყვდარის მოგონებანი“, „განკიცხული“, „მოთვარი“ და სხვა.

ამ ორ ჯგუფთა შორის, ავტორის აზრით, უფსკრულია ნამდვილი.

უფსკრული პირველი: პირველ ჯგუფს ემნევა უტყუარი გავლენა სხვადასხვა მწერლების: გიორგი ერისთავის, გრიბოედოვის, კარაშხინის, მოხანის, ლერ-მონტეის, ტურგენევის და სხვების. მეორე ჯგუფი თავისებურია: მას არ ეტყობა არავითარი გავლენა. აქედან დასკვნა: პირველი ჯგუფი ერთ მწერალს უნდა მამუთენოდეს და მეორე ჯგუფი მეორეს.

კიდევ რომ მივიღოთ, როგორც ფაქტო, თითქო პირველი ჯგუფი გავლენის ქვეშა დაწერილი და მეორე ჯგუფი კი თვისგნით, მაშინაც კი ავტორის დასკვნას აქედან ვერ მოვიტყუოთ. შესაძლოა ერთსა და იმავე ავტორს ჰქონდეს ორივე ჯგუფის ნაწერი: ერთი გავლენის ქვეშ და მეორე გავლენის გარეშე. მაგალითები მრავალია. კერძოდ—ალ. ყაზბეგის შემოქმედების ასახნეულ შესაძლო იქნებოდა ასეთი პიპოტეზი: საცა იგი „მარს“ ეტება, იქ მასალა დამუშავებულია მრავალგზის და მრავალმხრივ, —ამისათვის შესაძლოა, ახალგაზდა რომანისტი გავლენაში მოხვედრილიყო. იქ კი, საცა იგი „მთას“ ეტება, იქ თვითონ მასალა მოკუმედილა ჯერ კიდევ ხელუხლები—„მთასადამე შესაძლოა“, ახალგაზდა რომანისტი თავიდან აეცდინა ყოველგვარი გავლენა.

უფსკრული მეორე: პირველ ჯგუფში აღებულია შორეული წარსული, მეორე ჯგუფში კი უახლოესი წარსული. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ესეც მედრია. მრავალი მწერალი, რომელიც მასალას შორეულ წარსულიდანაც იღებს და ახლო თანადრთულობიდან. კერძოდ—ალ. ყაზბეგის ნაწერის ახსნისათვის შესაძლოა ასეთი პიპოტეზი წამოგაყენოთ: ალ. ყაზ

ბეგი რომანტიკოსია და მას რასაკვირველია შორეული აფროთიკანებს. ამ შორეულს იგი „წარსულში“ ჰპოებს. მაგრამ ის, რაც ჩვენ ახლო თანადროულად გვეჩვენება: „მთა“, ისიც წარსულია არსებითად. „მთა“ თითქმის ისტორიის გარეშე დგას: მან არ იცის თითქმის ვითარება: იგი თმურად ვეგირეულ ყოფას არ გასცემს. მაშასადამე „მთა“ არტული ყოფაა, და როგორც ასეთი, „წარსული“. მაშასადამე იგიც „შორეულია“ და პირველი შეხედვით ნახული ზღვარი ამ მხარით მიხსნილია.

უფსკრული მესამე: პირველ ჯგუფში მოცემულია მეშინაური ყოფა მეშინაური სიყვარულით, მეორეში კი რაინდული ყოფა ჰაქტაჟი სიყვარულით. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

ახიერებული მტკიცებაა. ალ. ყაზბეგი სწორედ ასე უნდა მოაქცეულიყო. აი რასა სწერს იგი თავის თავზე: „ამ ხალხში აღიზარდეს, აქვე ვსწოვდი მთელი დედა-კაცის რქეს, რომელიც მთლიად იყო შემდგარი მთის დაღებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებსაგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანეტქარო ნიათავე ერთად სენასა წვდებოდა ნანა ჩემის მწოებელისა, რომელიც იძახდა: ვინ თავისა ვერ სთვსობს, მას აღმზარდელის რძე ჰიოლანა წამოუყავს... და შემდეგ, თუმცა ყოველმა შემთხვევამ, თუნდა ავიღოთ თბილისის ასე წოდებული მოწინავე — მოთავე ხალხში ტრიალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნიდა მათი ძალა, და დღემდის ჩემს სისხლის შემადგენელში აბიან მთის ნაქადულში შეერეული რკინა და კლდით შორის ნაქრქვის წვეთები“ („ქაჯასიონი“, 1—2)... ამ „მთიელის“ ბუნება და მისი მგზავი: საკვარელი არაა, თუ მის გარე „მთისა“ მხოლოდ მეშინაური ყოფა იხილა და ოდნავ „გვერდულად“ მიუღდა და ბრძოლად ასწერა.

უფსკრული მეოთხე: პირველ ჯგუფში ბუნება არაა მოცემული, ამ თუა მოცემული, იგი თავისთავადაა. მეორე ჯგუფი კი სულ ბუნებითაა გატენილი. აქედან დასკვნა: პირველი ერთს ავტორს ეკუთვნის და მეორე მეორეს.

არც ესაა სწორი. ალ. ყაზბეგი ბუნებას ყველგან ხედავს. მოუწინებთ მას: „ბუნება კაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს... კობა ქვეით: „მე არა ვარ მოცემული უსსლე, უსიცოცხლე სახეებისა“ („ქაჯასიონი“, № 1—2)... და თუ მაინცა და მაინც პირველ ჯგუფში ნაღებია ბუნება ვიდრე მეორეში, ეს ალბად იმიტომ ხდება, რომ პირველი ჯგუფის ყოფა მოწყვეტილია ბუნებას და მეორე ჯგუფის კი პირდაპირ გამოხატულია ბუნებაში. და ალ. ყაზბეგს ქების ძეგლი არა ეთქმის რა ასეთი ობიექტები ასახვასათვის.

უფსკრული მეხუთე: პირველი ჯგუფის სტილი უსტილია და მდარე, მეორე ჯგუფის სტილი კი ძლიერი და გულსხმიერი. აქედან: ორი სხვადასხვა ავტორი.

კიდევ რომ მივიღოთ ასეთი დასკვნა, ეს კიდევ იმას ეძღვრება, რომ ეს ჯგუფები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნიან. გარდა ამისა ავტორის მაგალითები სუსტია. მას მოჰყავს „ფათისა“ და „არსენას“ ვითომ სუსტი ადგილები. ნამდვილად კი ეს ადგილები სტილის მხრით მეორე ჯგუფის ადგილებს არაფერს არ ჩამოეყარდებიან. ამავე დროს მას მოჰყავს „მამის მკვლელობა“ ვითომ ძლიერი ადგილი. ნამდვილად კი ეს მდარე რიტუ-

რიკია: „ეს არ იყო ქერდი და ქერდობას სწამებენ! ის არ იყო ავაზაკი და — ავაზაკობას აბრალებენ! იმას უყვარდა და — სიყვარულის საგანს ავორებენ!“...

მე არ შევეხები ავტორის მტკიცებას, თითქმის შევარალს (ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგს) არ შეეძლო 1880—1885 წლებში ამდენის დაწერა: კობა ხანია! ვინ არ იცის მზავალი მწერლის დაწერისი შემოქმედება! არ შეეძლო არც იმ ფაქტის, რომ ალ. ყაზბეგი 34 წლისა იყო, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ძალიან კარგი: მომწიფებული გამოსულა. შეეხები მხოლოდ ავტორის ერთს „ახიერებულებას“.

აკაკიმ ლეკიკა წაიკითხა შოთა რუსთაველზე. ყაზბეგი გამოეხატა და ვერა სთქვა-რა.

მიუხედავად იმისა, რომ „მამის მკვლელობა“, ავტორის ფაქტი, „ვეფხისტყაოსანის“ გავლენით არის დაწერილი: „იავო — პირდაპირი, გულადი, უშინარი, მაგრამ გრძნობით დატყვევებულ-დამოხლებული; მასში ხშირად გრძნობა სუბიექტის კომპაზი კი აზრი და მიხერხება უფრო მეტია, თუმცა საღი და ძლიერი გრძნობა მასში სიღრმეა. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ იავო ტარიელია და კობა ავთანდილი.

არ ვიცი, რომელ შკოლაში ასწავლიან ასეთ პარალელებს. ამას თუ გავყვეთ, უთვალავი ტარიელი და უთვალავი ავთანდილი ამოჩნდება.

ესეც არ იყოს, რა უნდა ეთქვა ალ. ყაზბეგს, გარდა იმისა, რაც სთქვა? ეს მისი ნებაა და უფრო კი მის გულ-ნება (გუნება)...

ავტორის უნდა ამით განუფითარებლად მოგაგჩვენოს ალ. ყაზბეგი, მაგრამ ვინც წაიკითხავს „ქაჯასიონში“ გამოქვეყნებულ ნაწერს ალ. ყაზბეგისას, ის ღუთოდ ტყუადებს სრულიად უსაფუძვლოდ გავრცელებულ შეხედულებას ალ. ყაზბეგის ინტელექტის შესახებ.

ეს მხოლოდ „ზოგადიზმი“. თავიდათავი სხვაა.

წარმოვიდგინოთ, რომ ალ. ყაზბეგის სახელობის ნაწერებში მართლაც ორი ჯგუფი არსებობს, უფსკრულით გაყოფილი ერთი მეორისაგან: პირველი უსტილი და მდარე და მეორე ძლიერი და გულსხმიერი. მივიღოთ ისიც, რომ პირველი ჯგუფი ერთს ავტორს ეკუთვნის, მეორე ჯგუფი კი მეორეს.

ეს ყოველი კარგი, მაგრამ სად არის იმის საბუთი, რომ უსტილი და მდარე სწორედ ალ. ყაზბეგს ეკუთვნის?! ეს დასკვნა ავტორზე უფრო „ახიერებულია“ მის ზანდუკილის „გამოკვლევაში“.

იგი აქ ისევ ალ. ყაზბეგის პიროვნულ ერთეულს მიმართავს:

ალ. ყაზბეგი თითქმის ბავშვობიდან შეპყრობილი იყო ონიანობით. შემდეგ ავი სენი (ლუფსი) შეეყვარა, ავტორს მოჰყავს სხვების მოწმობა: „იგი თავიანთ-დრული და გულწაბრობილი იყო“. მისი გართობა შეეძლო მხოლოდ მის მაინც „ყაჯას“, რომელიც მას გაცილებით უყვარდა და რომელიც ხშირად ქაჩაშაკი და დაჟანგდა უბით. ალ. ყაზბეგი სამინდელს ქუქუქი ცხოვრობდა: საცელების გამოკვლავება და უფრო ამბობდა. მისევე სპირდა კლდობანია. იგი ჩადიოდა ღუქნებში, იმარა-

და ფართულუბას, ამოჰქონდა შინ, ამწკრივებდა ხოლ-
მა და ეთამაშებოდა... და სხვა და სხვა...

შემდეგ ავტორის მოჰყავს გეგმი ციტატები პსინიატ-
რის სტრუქტურის წიგნიდან. მკითხველი მიხვდება თუ—რის-
თვის...

მთელი ეს ადგილი ავტორის „კვლევისა“ საშინელ
შთაბეჭდილებას სტოვებს...

ჩვენ ვიცით, რომ ალ. ყაზბეგი არანორმალური
იყო. მაგრამ ისიც ვიცით, რომ ნამდვილი შემოქმედელი
მრავალ შემთხვევაში არანორმალურია: იგი არღვევს მი-
ღებული ნორმებს. ამ შეზღუდულებას არ აქვს შინაგანი კავ-
შირი არც ლოკალიზაციის თეორიასთან („გენიალობა“) და
არც მაქს ნორდაუს ანალიზთან („გადადგენილობა“).

ჯერ ლოცით. საჭიროა ერთხელი და სახუდადმოდი-
ნისას მას „სირცხვილის“ მასკა და დარტყვას მას მხო-
ლოდ „შეფერება“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება
ჩვენ სწორად და მართლად კლასიკურად მასზე.

ჯერ მხოლოდ ფაქტები. საფრანგეთის მწერლებში
და პოეტებში—ვიცნობთ რაღაცნი იყო ლეგენდები! მაგ-
რამ ვის შეუძლია იმის მტკიცება, თითქმის მათი შემოქ-
მედება ავი სენის გამო მდარე იყოს და სუსტი? მართა-
ლია, ბოლო ფაზებში ეს სენი ანადგურებს ადამიანს, მაგ-
რამ ისიც მართალია, რომ პირველ ხანებში იგი ჰქმნის
ადამიანში მისი ძალების უმძაფრესი კონცენტრაციას.
ამ პერიოდში ყოველი შემოქმედელი—პოეტი თუ მწერალი თუ
მეცნიერი თუ ფილოსოფოსი—ჰქმნის ასე ვთქვათ კონტე-
ნტის ერთიანი დაკონიჭება, ძალების ერთი დაკონიჭება, ერთი
საშინელი ანთებით და აელვარებით. დრო და დრო და
სენით ავადს დატოვებული იპყრობს და მელანქოლია—სანამ
ბოლოს სრულად არ დაიწვეს. გრაფიკულად რომ გამო-
ვქრათ მისი შემოქმედების სურათი, მაღარიანს ხაზულს
მივძღვებთ: ხან ავარდნა და ხან დავარდნა, ორივე—მაგარი.

ამ სენით ბევრი რაიმე აისხნება ალ. ყაზბეგის მოე-
ლენაში. შესაძლოა, წლები 1880—1885 სწორები მაღა-
რიანს ხაზულს იძლეოდნენ მის შემოქმედებაში, უკანასკნე-
ლის გამაძვრებელი, რასაც ვერაფერია. ამ ხანს ეკუთვნის
დიდი ნაწილი მისი შედეგების. ხოლო, დრო და დრო
იგი აღბადა ამავე ხანაში „დავადრნასაც“ გადაიტანდა,
რასაც უფროდ მოჰყვებოდა სუსტი ნაწილი: უსისხლო და
უხერხული და ზოგჯერ დაუმთავრებელი.

მტკიცება იმის, რომ 1880—1885 წლებში იგი უკვე
„დავადრნაში“ იყო, მხოლოდ ცოცხალი მოგონებით შეი-
ძლება დადასტურდეს. უკანასკნელი კი სხვას გვეუბნება.

თავსა ჰუჰუ...

თავისთვის დესეც ფანტასტიკა ალ. ყაზბეგის. ის-
ტორიამ მრავალი იცის ასეთი მაგალითი. ეს არ არის
უბრალო მოვლენა. იგი ელს თავის ფრთებს ასახსნელად.

ხოლო რაც შეეხება მაიმუნ „ჟაკოსთან“ დამეგობ-
რებას, ამაში მე გვხვდება არა მარტო „გენიალური აბორი-
გულებას“, არამედ ადამიანის პიროვნების უკანასკნელ
დანელებასაც. აქ არის პოეტის გახელება მელანქოლიის
არეში.

კიდევ უფრო პოეტურია ხაზი ალ. ყაზბეგის კლემ-
ტოპიანის:

როცა იგი ფართულუბას, თუ გინდ შემუშენეულ
წამოდებულს, შინ ამწკრივებს და ეთამაშება, ჩვენ წინ

ბავში იმართება ნამდვილი ამ სახელის უსაყვარლესი მხრე.
წელმობით.

ალ. ყაზბეგის ხასიათზე კიდევ ბევრს იტყვიან.

აქ დიდი მასალაა მაღალიანი.

ავტორის მოჰყავს ერთი ფაქტი ალ. ყაზბეგის ცხოვ-
რებიდან. „რა გემართება სანდრო?“ ეკითხება მას ნიკო
ლომთურმა. სანდრო მიუგვებს: „ეგ არაფერი! უცხად მო-
მელანდენ ყველა ჩემი გმირები და მათთან ვლაპარაკობ“. ამ
სიტყვებს ავტორი დაერთავს ექიმ ვედენგენშტელის
სიტყვებს: „ეს მხოლოდ ავადმყოფი სულის გამოხატულებ-
ბაა და არა ნამდვილი მხატვრული წარმოსახვის...“

ეს ამბავი თორმეტი წლის წინანდ პირადი გადმოშ-
ცა მე ნიკო ლომთურმა. გადმოცემით ისეთი დიდი მომე-
ჩენა სანდრო ყაზბეგი, რომ იმავე წელს დაბეჭდულ პატა-
რა წეროდა „სანდრო ყაზბეგის“ სათაურით... და მართ-
ლაც: აქ ჩვენ გვაქვს საქმე უმძაფრეს ფიზიონომულ ნე-
თან... მის. ზანდლუკი კი უბრალო ექიმის თქმას იმოწ-
მებს, რომლისათვის ასეთი ნიკო ცხრა კლიტულში დამა-
ლული. საკვირველია: ნუ თუ ლამაზის გამოკვლევა მაინც
არ წუთითხვას შემოქმედითა უცნაურ ხილვათა შესახებ!

არას ვიტყვი დიმიტრი ყაზბეგის ავტორობის შესა-
ხებ. ალ. ყაზბეგმა განჯინა გასტეხა და ნაწერები მოიტა-
ტია. მერე ეს კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ ავტო-
რი დიმიტრია და არა სანდრო! საიდან ვიცით ჩვენ, რომ
იქ უფოთოდ ბელგეტრისტული ნაწერები იყო? შეიძლე-
ბა მავნე სულელები, რომელიც 1872 წელს დაბეჭდეს და.
რომელიც „დროშაში“ ეხლა გადმოიბეჭდა! მაგრამ ეს ხომ
უსუსური ბავშის ნაწერია თითქმის ამასთან შედარებით
ალ. ყაზბეგის უბრალო ბარათები სტუდენტობის დროი-
დან—შესაძლებელია. ალ. ყაზბეგის ფრაზა: „მე არა ვარ მო-
ცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა“—დიმიტრი ყაზ-
ბეგის „მავნე სულელები“ იყიდის თავიდან ბოლომდე.

მაგრამ ავტორი ახიბრებულა და თავისას გაიბახს.
მეორე გვეუბნის ნაწერებიდან დარჩენილია ხელნაწერები
(—„მოძღვარის“ რამოდენიმე თავი). ავტორის აზრით, ეს
„მოძღვარის“ დედანი კი არა, მისი უხერხი გადმოცემაა.
ადარებენ ტექსტებს ერთი-მეორებს. მაგრამ რამდენიმე
ხანა ხელნაწერადან: „გუდამაყარის ვიწროსა და ქვიანს
ხეობას სათავეში ერთი უზარმაზარი, ძნელად მისადგო-
მი და კაცის შემზარებელი მთა ამართლდა. ამ კიდევ
„თამაც აქ ავდარს ეს ავადგონი დილუია, ქარს გამო-
უფულურავს და ადგილ-ადგილ ჩამოშლის გამო ურცხვი
ხეული ხეობა და გადასავარდნი უფსკრული შეუდგამი“. ეს
არის უხერხი გადმოცემა ორიგინალის თავის სიტ-
ყვით! გინა არ სჩანს აქ სისხლი, რომლის „შემადგენელ-
ნი ნაწილინი არიან მთის ნაკადულში შერეული ოკინა და
კლდთა შორის ნაჩქვქვს წვეთები“? ეს ნამდვილი ვა-
რიატია „მოძღვარის“ სიტყვა ძარღვიანი და ნაკვეთი..

ალ. ყაზბეგის ვითომ ცრუ ავტორობას მის. ზანდლუკ-
ლი ამტკიცებს ერთი ფაქტით. მისთვის ეს ფაქტი გადამ-
წყვეტია. ცნობილია, რომ ამჟამებულ წერის დროს (ფე-
ლტონის აძლევა დასაბუქდათ და შემდეგ აგებულდა)
ალ. ყაზბეგს თავის გმირების სახელები ეშლებოდა.

ავტორი თითქმის სიხარულით გვიბახს: „გინა დასა-

ჯერებელია, რომ ავტორის თავისი გმირების სახელები დააეწკლე ასე აუროს?! ეს ხომ იმას ემზავსება, რომ დედას თავისი შვილის სახელი შეეშალოს და შემდეგ: „ალ. ყაზბეგის ასეთი „გადანათულა“ შედეგი ხომ არ არის მისთვის უკუო ნაწარმოების შექანიკურ გადაწერისა!?!“.

ჯერ ერთი რამ..

ალ. ყაზბეგი, ცნობილია, რედაქციაში წერდა, ამას იგი, ავტორის ფაქტით, იმისთვის შეგონდა, რომ მის ცრუ ავტორობაზე ეჭვი არავის აღდო.

თუ კი ასე მოწადინებული იყო ალ. ყაზბეგი, რომ მისი ქურდობა არ გამოემდგენებოდა, მაშინ, უნდა ვიგულისხმეთ, იმასაც ეცდებოდა, რომ გმირების სახელები არ არეოდა. მე არ მწამს საერთოდ ის „წარსულის ლოგიატა“ („ასე იზამდა“, და სხვა). რაიც პირველყოფილი ცოდვია ის ჰოროლი კვლევის საერთოდ, მაგრამ, თუ კი ოდნავ დავეშვებით მას, ორ მოცემულ ფიქრში მეორე უფრო მისაღებია: ქურდი უფრო ამოწმის ქურდობის კვალს.

მაგრამ სინამდვილე არაა ლოგიკა და მარტო ლოგიკით იგი არ იხსნება. სინამდვილე რომ ლოგიკა იყოს მარტო, მაშინ არც „ისტორია“ იქნებოდა. ჩვენ აქ „შეცდომასთან“ გვაქვს საქმე.

ნუ თუ ჰგონია მიხეილ ზანდუკელს, რომ ალ. ყაზბეგისთანა შეცდომა არავის მოსვლია?!

შექსპირს დიდი ხსოვნა ჰქონდა, მაგრამ „მაკბეტში“, ანატოლ ფრანსის დაკვირვებით, მას ასეთი შეცდომა შეეპარა. იგი ამბობს, რომ კუდიანიკმა მაკბეტს მიმართეს სამი წინათმით, ნაზღვილად კი ორი წინათმით.

ამავე ავტორის დაკვირვებით, რაბლეს ასეთი შეცდომა აქვს. მეორე წიგნის ბოლოში რაბლე გვეუბნება, რომ პანურგი ცოლს შეირთავს და იმავე თვეში ცოლი მას უღალატებს, რომ პანატარული იპოვის ფილოსოფიის ქვას და შეირთავს ინდიელ მეფეს ასულს. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება მისი თხზულების შედეგ წიგნებში. რაბლეს დაავიწყდა თავისი ლამაზი პლანი..

კიდევ უფრო უარესს შეცდომებს უშვებს, რემი დეგურმონის დაკვირვებით, სერვანტესი. დონ კიხოტი გაემგზავრა. მეორე დღეს მისი მოსამსახურე ქალი ეფუნება ღვინოს, რომ დონ-კიხოტი ექვსი დღეა, რაც გაემგზავრა, ეს კიდევ არაფერი. სანჩო ტრის თავის ვირის დაკარგვის გამო. რაბოდენიშე ფურცლის შემდეგ ეს ამბავი სერვანტესს ავიწყდება—და ჩვენ ვხედავთ სანჩოს იმავე ვირზე მჯდომარეს (კაცმა არ იცის, საიდან გაჩნდა). კიდევ უარესი. სანჩოს ცოლს თავში ჰქვია „იანა“, შემდეგ კი მისი სახელი „ტერეზა“.

შექსპირი, რაბლე, სერვანტესი. ამათ მოსდით შეცდომა... რა დიდი ამბავია, ასეთი შეცდომა მოსვლოდეს ალ. ყაზბეგს?!—ვინც არ ცდება, იგი შემოკმედი არაა.

ვათავებ. მიხ. ზანდუკელის წიგნს აწერია:

„დაიბეჭდა სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტის ნებართვით, პედ. ფაკ. მდივანი გ. ნათაძე“.

ეს წარწერა ბევრს ავალებს—ორივე მხარეს..

გრიგოლ რობაქიძე.



გენ. დიდიხანური ისტორიის დიქტატორი და „გალოფი“.



გეოპტის მეფე ფუადი.

ქართული თეატრის ქრონიკაჲ.

I. ირაკლის თეატრი. II. 50-იან წლების თეატრა-
ლური ტფილისი. III. ზურაბ ანტონოვი.

I. ირაკლის თეატრი.

„თეატრი“ ანუ „თეატრიონი“, „თეატრონი ქართულს ტერმინოლოგიაში შემავალს ძველს ელლენურს“ ლიტერატურას. საშუალო საუკუნეების ლიტერატურულ მანუ-სკრიპტებში ტერმინი „თეატრი“ ჩვენი საგნის მნიშვნელობით თითქმის არ გვხვდება, მიუხედავად იმისა; რომ ჯერ კიდევ საქართველოს საზოგადოება იცნობდა ესხლის, სოფოკლეს და ევრიპიდეს ძველს ბერძნულ ტრაგედიებს.

თუ შევხედვით მთელი მთელი, რომ თეატრის კავ-შირი ლიტერატურასთან სავალდებულო არ არის, თეატრის ბუნებრივი განვითარებისათვის საქართველოში. უნ-და აინიშნოს მისი პრიმიტიული ფორმები, შექმნილი რასიული ინსტიტუტი.

თეატრალური ხელოვნების შესასწავლად საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ცნობილი ხელოვნება ესკატის და პანტომიმები; „ზმა“, „მეშეითობა-ჯამბაზობა“, „ლეკი მოწასიბი“, „ზაპო“, ცეკვა, სამი, ჯუბანა“—რომელიც არის მუსიკა მწყობრი და საკრავთანი და ხმოვნება ტბილი, გალობა თუ სიმღერა.

ეთნოგრაფიიდან: „ბერაკობა“ და „ყვენობა“, რო-გორც ახალი ფორმა თეატრის, გიომის, კოსტიუმის და ბუტაფორიის ყველა ატრიბუტები.

არ შეიძლება გამოვყოფოთ: „აშუაზაგი“ „ყაბაზი“ საცელსი „კანაზი“, „ჭელი“ და წარმართული რიტუა-ლი „ქადაგის“ და „მონიშის“. მისე უნდა მეგობროს „ჩიარაღნობა“ (ახიური იმედიანაია) და ქართული ტერ-მინი „გამოჩვენება“ თითქმის განმარტებული „ხეიმის“ მნიშვნელობით, ჩემის აზრით კი, ეკვივალენტი თეატრის. უკველს ლიტერატურად კი სანტერესია, დღემ-დე მიღწეული ფორმა დილოგის, თეატრალური დილო-გები და დილოგიური იამიკობები.

ყველა ეს სახეები იძლევა თეატრის და დრამის გენეზისის საქართველოში.

ეს ძველი...

მკარამ ხმები ევროპის თეატრალურ წარმოდგენების და მისტერიების შესახებ საქართველოში შემოდიდა XVI საუკუნეში. პირველი გასულა* ევროპაში X—XI საუკ. ეკუთვნის („ხომალდში ჩავყექე, ზღვას ვავლე, ფრან-გის ქვეყნები ვნახე, სულ მოვიარე ხმელეთი ვერ ვნახე“ შენი სახეი“—საშუალო საუკუნეების პოეტი, რომელიც მხოლოდ კონტინენტს იცნობს „ხმელეთის“ სახით) XII საუკ. რუსულენოვან კარგე სცხობრივად ევროპიული პრინ-ცი ორთოდოქს-შვილი, რომელმაც შეიძლება პირველმა გააცნო საქართველოს საუფო კარი ევროპულ ერიკე-ტები, ამ დღეებიდან იმდენად მძლავრია ჩვენი პოლიტიკ-ური და კულტურული ურთიერთობა რომთან რომ უკა-ნასკნელი საქართველოში აფუნდეს ეპარქიის Diocesis

litelenciesis. მას მერე ჩვენი მუდმივი სტუმრები არიან კულტურტეგვირმისიონერები: დომინიკიანები, ჭრანისი კანების, თეათნიები, და კაპუცინის ორდენებიდან. შემდეგ რომში პროპაგანდის კოლეგია აარსებს ქართულ ენის კათედრას საიდანაც 1625 წლიდან გვევხვენება დაბეჭდილი ქართული საერო და სასულიერო სახელმძღვანელოები. რომში სისტემატიურად იგზავნიან ქართველ სტუდენ-ტები, რომელნიც ჩემის აზრით, იყვნენ, გინდაც პასიური პიონერები ევროპული თეატრის საქართველოში.

შეუძლებელია, რომ გინდაც შემთხვევითი ინფორ-მაცია ევროპული თეატრის არ შემოგვტანათ: წარდგენს, ლამპერტის, პეისონელს, დელავალეს. საბა სულბან ორბელიანი, რომელიც XVIII საუკ. დასაწყისში, დიპლო-მატიურა მისით გაიგზავნა ევროპაში, უკველად იყო მზავილი კულტურული დრამის და მისტერიების უკე-ვლა, რომ ასეთი კულტურული კარი, როგორც იყო სა-სახლე ვახტანგ VI-ის, იცნობდა თეატრს და შეიძლება ძველი ქართული თეატრის პირველი დატა მის მეფობა-შიც აღმოჩნდეს. 1724 წელს რუსეთში გადამხვეული ქარ-თული არისტოკრატია (მის შორის პოეტი გურამიშვილი) იყო ესთეტიური მაყურებელი მოსკოვის და კიევის თეატ-რების ანუ მისტერიების.

ერთი სიტყვით, თეატრალური კულტი, თეატრალ-ური ხელოვნების ტრადიციები საქართველოში უფრო ზო-რეული პოქებიდან მოდის, ვიდრე გვეჩინა,

მაგრამ რაკი ყველა ქართული ლიტერატურული ძეგლები სასებით არ არის შემოკრფილი და თეატრ-ალურ ბიბლიოგრაფიიდანაც დათარიღებული დოკუმენტე-ბიც ჯერჯერობით 1794 წლამდე არ მოგვეპოება. ჩვენ საშუალება არ მაქვს უფრო დეტალურად ვილაპარაკოთ ქართული თეატრალური ხელოვნების აღწეულ პერიო-დებზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ქართ-რი უკვე დაბეჭდილი პრიმიტიული ფორმებიდან, თავის-უფლებით ლიტერატურული მისტერიებიდან და საბო-ლოოდ იღებს ახალი ევროპული თეატრის სახეს.

ამ თეატრს, რომელსაც მე ვუწოდებ „ირაკლის თეატრს“, რადან ირაკლის ეპოქას ეკუთვნის, აქვს სამი პერიოდი.

პირველი 1759 წლიდან 1780 წლამდე, თეატრი შექმნილი პარიზის იეზუიტების თეატრის გავლენით, კიე-ვის და მოსკოვის მისტერიულ თეატრების ტიპის, რომ-ლის ჩანასახს იძლევა ქართული საფილოსოფიო-საეთი-კლო სასწავლებლების „სასკოლო სცენა“.

მეორე პერიოდი 1780—1795 წლამდე, როდეს-საც საქართველოში ისევე რუსეთის საშუალებით შემოდის უკვე სასულიერო დრამიდან თავისუფალი ფრანგული ელასიური თეატრი ვოლტერის რეპერტუარით კომედიე-ბით, ჭარბებით, ინტერმედიებით. ეს თეატრი ნაწილობ-რივ არის დემოკრატიული.

*) ჩვენი ლიტერატურული ძეგლებიდან: თეატრ პოდტიკენ თარგმნილი: ენდერგით, თეატრი აღდავითე გადმოღებული ვახუშტისაგან თეატრის არქივში, თეატრის ანტონოვი.

მესამე პერიოდ 1795—1832 უფრო ვადართვებული ფრანგული რეპერტუარით, მაგრამ მოკლებული სასახლის პალატებს, საკუთარს შენობას და განსაკუთრებით არისტოკრატიული „ოჯახების“ თეატრს, რომელსაც სამუდამოდ სპობს 1832 წლის პოლიტიკური აქტი.

ირაკლის თეატრის ქატიკორი არის ტფილისის და ადგილობრივი სემინარია ანუ „სხოლა“ პირველი გაიხსნა 1756 წ., მეორე უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1782 წელს. მათი ანაზღაურება იმავ დროს არის ანაზღაურება ქართული თეატრის. ორივე დაწესებულება, რომელთაც მოვეცემა XVIII საუკუნის ქართველი ინტელაგენცია, არა დიდი მასშტაბით, მაგრამ მაინც ძალიანღებია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიის და მოსკოვის საღვთისმეტყველო აკადემიის—მათივე პროგრამით და ორგანიზაციით. სასწავლებლის კურსში საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად გადიან ლოლიკა, ფილოსოფიის, მტრადიციის, ფიზიკის, გრამატიკის, რიტორიკის, და რაც ჩვენთვის საინტერესოა, აქვე არსებობდა. „პიტიკის კლასიკ“, რომელშიც სკოლასტიკურ სისტემებთან ერთად ისწავლებოდა დრამატული ფორმაც, როგორც ერთი სახე პიტიკისა.* ჩვენი საგნისათვის საჭიროა სწორედ ეს „განმარტება დიალოგისა“ და „სინოპსისი დელამაციის“.

მაგრამ საკმარისი არ იქნებოდა, რომ დრამატული ფორმა თეორიის გარდა პრაქტიკულად არ გაეცვლათ და ჩვენი სასინაროლოდ არსებობს დოკუმენტები, რომელითაც თელაველი და ტფილისელი „სხოლასპეტები“ სდგამდნენ საზოგადო სკენიურ დიალოგებს, დელამაციას და პანეგირიკულ პისებს იამბიკოებით, როცა სასწავლებლის ესტუმრებოდა რომელიმე წევრი დინასტიის. ამიტომ შემთხვევითი არ არის ზემოთი ცნობა დავით რეკტორის თეატრის შესახებ თელავში, უმეტესად, რომ სემინარიას თავისი დრამატული მიღწევები ქალკის დარბაზებშიაც გადაჰქონდა რეკტორისავე ხელმძღვანელობით.

სასკოლო სცენას, ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, გამაზღვრული სიუჟეტის სქემით. მასში სპარამბდა თარიგებით ლიტერატურა, საშუალო საუკუნეობის ესტეტიკით, მოტივებით და სიტუაციით. მაგრამ იყო ორიგინალური პისებიც რომელთა კონსტრუქცია და მანერა, ყოველ შემთხვევაში არ იყო ინდივიდუალური. ეკვი არაა, ორიგინალური მისტერების „ატორები არიან ჩვენთვის ცნობილი „დრამატული სკოლის“—„უტეხა პიტიკოსი“, „ტკილი მესტეხინი“ და „მთხველინი მაღალსა ფრასსა ზედა“. ამნარიად ჩვენი ნაციონალ დრამატურგის გენგენიას სათაუროლო სკოლათა ზღუდებში უნდა გვიძიოთ. სწორედ ასეთივე საფუძვლით იქმნებოდა ფრანგული და ესპანური თეატრის.

ცნობილია, რომ სიუჟეტები, ბიბლიურის ტემებს

შეიცავდა, სამწუხაროდ, არა გვაქვს რეპერტუარის ბიბლიოგრაფია, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მისი ისტორიული-ლიტერატურული და თეატრალური მხარე, დადგმა და ტენიკა. ეს კი ცხადიარომ ტენიკა დადგმის იყო თითქმის უსტუტო...

ფაქტი, რომ ტფილისისა და თელავში გაიმართა რამოდენიმე მისტერია, დასტურებს, რომ სასკოლო სცენის რეკტორი, უკვე იქმნებოდა მეორე, „დარბაზების“ თეატრი უფრო სერიოზული, უფრო ფართო სახალხო, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში შემოვიდა ვოლტერის რეპერტუარით. ამ თეატრის პიონერები არიან ქართული სემინარიები, რომელთაც სკოლასტიკურ სისტემებთან ერთად, შემთხვევით შემოჰყვით დრამატული ფორმა და თუ კი არსებობდა პროფესიონალი ტრუპა არისტოკრატიიდან, მის ხელმძღვანელებად ისევ ეს „სხოლასპეტები“ უნდა ყოფილიყვნენ.

სანტერესოა, რომ პირველი დიდი მისტერიები უმთავრესად სამეფო პალატებში იმართებოდა. ამიტომ ტერმინი „პალატა“ დიდხანს თეატრის მნიშვნელობით იხმარება.

XVII საუკუნის უკანასკნელ წლებში, იწყება საქართველოს ინტენსიური ევროპიზაცია და ტფილისი შეუმჩნევლათ შედის ახალს ფორმაციაში. იცვლება სახელმწიფოებრივი აპარატი, იცვლება სტილი კულტურის იცვლება ჩვენი ახლად აღორძინებული, მინიატურული მისტერიების თეატრიც, რომელიც უკვე ევროპიულ თეატრის ტრადიციებს იქმნის. მოდის ფრანგული ტრაგედია თეატრი, მოდის კომედიის თეატრიც, თავისი მზიარულებით, მორალიტეტებით, ინტერმედიებით...

უგმური ლიტერატული დრამები კიევის დრამატურგიის პრობის, ისპაბა კლასიკური ტრაგედიებით, დახასიათულ მისტერიებს ანაივებს ვოლტერის, რასინი, ზომარშე...

ეს რეფორმაციის ეპოქაა, როცა სპარსული პოეზიით და ბიზანტიური კლერიკალიზმის ტრიუმფით მოღუფებულ ქართულს ინტელექტს დაიფუჭა ვოლტერი, როცა რუსოს, ლესინგის, დიდროს და მონტესკიეს—ენტელისაზიხები მოწინავე ქართული ინტელაგენცია როცა შემოდის „ფრანგობის“ მოდა „ფრანგული“ ტრადიციები.^{*)}

ტფილისში უკვე არსებობს ევროპიული კალინია, და ნარიკილი ვიწრო ქუჩაში, სადაც ახიური ურდოები ვაჟის საშუალებას არ გაძლევდნ, ბარქაინაღუ კარტით გაივლის ჭრიდრის დიდის ატაშე კირასირებით, დაღამებულს ქალაქში საათნავს იმპროვიზაციებთან, ვიწრო სარკმლებიდან ისმის „მოტლანდიური და პოლშური სიმ-

*) ტერმინი „ფრანგ“ რომელიც ნინაშვი ევროპიულს XVIII-ს. მეტად პოპულარიზოდა განაპირა პერიოდებშიც.

ვახტანგის „კალმასიდან“ მეორე დიალოგი, როცა იონა ზედაშვილი ზურაბთან ერთად ანაგაზი დღევით მომავალ ქიზიფის პასუსს უყვანებს.

გლუხია ჩვენ ასე ვკითხვართ: ანაგა ზომ ვერ გაუფრანგდებოდა?

იონაზე თუ ვინმე რიგაიდან იტყვის რასმე ფრანგს ეძახიან ჩვენში, და რა ჩვეულება არს მას.

ზურაბი—ანისთეს, რადგან საფრანგოში შეგვირება ბევრია. და მეტყვებინე მოდიან იქიდან პატრნი თუ სხვანი, მის გამო ესაც მკითხავენ ნახევენ ფრანგს ეძახიან. („კალმასობა“ 141 გვ.)

*) პი მანაშელი სემინარიის იონა ზედაშვილის დიალოგი „მუხლიათის“; რომელსაც სკოლიდან იყის: „კალია მუხა კოპედიისა“ და „მუხლონება მუხა ტრადიციისა“.

დავით მანაშელი თქვენ უკვე ფრანგულში წაიკითხეთ, უფლის პერიოდში, მუხია პარტიკისათვის უფროსი. იონაზე მზიარული და ცდები ტალია, მზიარულ მსოფლიო ევროპელთა თეატრსა მზიან გამაზღვრელთა თამაშობითა თვისთა, ჩინებული მელამონი, წამოაყენებს წინაშე გრთა, ხელმწიფეთა გამაზღვრელთა შემოღობობის სიკვდილსა და ტრადიციისა, ანუ მგლოფიარობისა ლიტერატურის.

ღერების ხმები“ სიონში, წირვანზე დგანან ქართველი სენატორები, ჭკუარები, დიპლომატები, — ქალბერი ევროპიული შლიაპებით, პოლონებით, ტრინებით, რუმუნიებით.

მეფე, რომელიც ეკატერინე II ვოლტერთან „თავის მეგობარს უძახის და უნიონში სამოღვაწუროთი ეპარკეება, დღეს უკვე ჩაღმამოხდა, რომელიც მის ღინასტას დაადგა ტამერლანმა, აუღუნებდა გამოდის ორდენებით, ანდრიახს ლენტი.. ბატონიშვილები მთელი წლობით ცხოვრობენ პეტერბურგში, ცარსკოე სელოში და ტუილისშიც გადმალკეთ ეტიკეტები ბრწყინვალე სალონების..

პალატებში იმართება ასამბლეა, მასსონთა კრება, კითხულობენ „ქართულ კურანტებს“, „უწყებას სახის მეტყველებისას“ ე. ი. თეატრის აქიშვებს.

მაგრამ შევიდეთ შიგ დარბაზში და გავიქნეთ ძველი თეატრალური საზოგადოება, მით უმეტეს, ამ საღამოს მან უნდა მოისმინოს გიორგი ავლიშვილის ახალი ტრაგედია: „მეფე თეიმურაზი“

ერთი გეგმა, რაც ფრანგმა ოსტატებმა დაასრულეს დარბაზის მოწყობა ფრანგული სტილით. თეიმურაზილი ბრწყინვალე არისტოკრატია. დარბაზის ერთს კუთხეში, „კავკასიის ლიონიდან“ დამრბუნებული დიდიგანები ადვენენ სატირულს პამფლეტებს დავით რეკორტზე, რომელმაც გალექსა ქართული გრამატიკა. საუბარში, ერთს მათგანს ებადება აზრი, შეადგინოს „ქართული დეკალოგი“ და ანექსდოტები ანტოლოგია. მეორეს სურს ვოლტის ფილოსოფიის დუქსათი გადაღება.

მეორე კუთხეში მშრალი პედანტები კითხულობენ ახლათ შედგენილს პოლიტიკურს ტრაქტატს „საქართველოს სწორი გამგეობისათვის“, რომელიც ხეალ უნდა წარუდგინონ მეფეს განსახილველათ.

მარბირილის ბუჩხიანის ისმის ქაბუა ორბელიანის ახალი კალამპოვები და კანკლური ლეონიძე კიდევ ზედ მეტათ აქვებს მის ეპიგრაფიკულ ტალანტს. საზოგადოებაში არ სჩანს ტახტის მემკვიდრე, რადგან მას სძულს თეატრი — შემწვარი ზაქის შემდეგ განმარტობელთა, ხატები დატვირთულს კაბინეტში და სტებზეა „გიორგი ნოსელი“ წიგნით. კითხვაში, როგორც ქრისტიანი უფიქრდება ვოლტერის წემოსეკას. მართალია, ეკლესიას კიდევ ელის დიოკლეტიანე, ნერონი, ივლიანე, ვოლტერი, მაგრამ იგი არ დაილუბება: „თუმიც თავისი შვილში, რომელიც სარწმუნოებაზედ სუსტობს, ის უკვე ჰედაც ეკლესიის დანახობის სიმპტომებს.

„რასა იქნს ბოროტი სიტყვითა, უკეთური ვოლტერი, მეგობარი ჩემი შეილისა, ჩემს მემკვიდრისა. რუსეთში მყოფმა ჩემმა შვილმა შეისწავლა მისი ურჯულთა სწავლა; მოტრანა აქა მისი სახე, რომელიც სამართლიანად დაეწერე ცეცხლსა: და მისუსტებული მსუქანი სადილით ბუტყულებს:“ უწყებელიც არის მისი სახელი. ლმობი და მაცხოვარი ჩემო, შენ ამატე შეილსა ჩემსა დავითს დანაშაული მისი. ნუ ჰკითხავ მას. შენ მოაქციე ქვეშაირტ გახაზედ“.

ძველცემებისტრი პატა ანდრონიკავილი არათობს ტფილისში დაბანაკებულს რუსის ბატალიონის ოფიცრებს. შემოიღან ძრვილინები შეხებაზადის შროფით და სოლომონ ლეონიძეს ვადასცემენ იმერეთში. ექსპირაქინილ“ ბესიკის წერილს. ქაბუა ორბელიანი — „კაცი შესახედავთ სხვაგვარი ენაჲსი თაჲსი მტერისა“ სა-

ხელის გაგონებაზედ თრთის როგორც პითის და ბესიკის შხმს, მაგრამ განწირულ პრეტს არა სცალიან მისთვის. წერილში სიხვის კანკლერს „იშუამდგომლოს მათს უმაღლესობასთან“ ტფილისში დაბრუნებისათვის. როგორც წერილიდან სჩანს, პიოტი დაინტერესებულია დღევანდელი ტრაგედიათ: ზომიერ, სიუჟეტით და საერთოდ თხოულობს თეატრალურ ინფორმაციას..

მაგრამ დარბაზი ცოცხლდება, როცა რეჟისორი მანაშელის და ანტრეპრეზორის გაბრიელ-მაიორის თანხლებით შეიშლის ახალგაზდა დრამატურგი და დიპლომატი ავლიშვილი გიორგი, ავტორი დღევანდელი პიესის. საზოგადოება მას ხვდება განსაკუთრებულ ყურადღებით. ლეონიძე გადასდის ბესიკის წერილს, რომლის გადართავლიერების მერე იგი საზოგადოების იწვევს „პალატაში“ საერთოდ მას ეტყობა ნერვიულობა. მუხრანბატონის მეუღლე საყვედურებით მიჰპარტავს გაბრიელ მაიორს, რომ თეატრი ასე მაღლე გააპარა დემოკრატიაში. დასცინის მის მაყუებლებს და მის შესასვლელ ბილეთს, რომელზედაც სწერია „შპრი ორი, გაბრიელ მაიორი“.

დარბაზი უკვე იწლება და მიდის „სახისმეტყველებს“ სანახავთი. წინ მიდან ქალები კავალერებით. ავლიშვილი სიხარულით იტყობინება, რომ ტრაგედიაზე მეფის ნებართვათ იქნება „ჭრელი“ (კონცერტი).

„ჭრელს“ გამართავენ ისაც ხუცისი და გერასიმე მღვდელმწიწონი „ტუბილად მაგალიტო“. პირვლად იცის „ჭრელი“ ათისი, მეორემ ვიდრე ხუთასამდე. მაგრამ მათ ყავთ მეტოჯე გურიასი, გიორგი ქალაიანე, „პირველი მაგალიტო რომელმაც იცის ჭრელი ათას ერთი“. მის მოსმენას ნატრულობენ განსაკუთრებით ფრეილენები და სტაქს დამბე, რომელნიც ხშირად ოცნებობენ პეტერბურგზე. დღეს „ჭრელში“ გამოფენ: სოლიაშვილი ლეონტი, ციკოშვილი იოთამ, მაგალიტო ღმირტი, გარსეიანიშვილი კიკია, ქარუმიძე იოანე და სხ.

თეატრი, განათებული სურნელოვანი ქრატებით, საესა პირველი არისტოკრატით მაგრამ აქვე არიან მან, სათანდავ და ოთარკა ნორიელი ინტრეპრედიტის ავტორები „კამედიანისკება“ და „მს. ხიობაი“ კულისებში არიან, სადაც უცხოელი რეჟისარი იღება მათ უკანასკნელს პარადს.

დარბაზში ცალკე მოთავსებულია საზოგადოება, იგი თავისი წრიდან ითვლის არა ერთს არტიტსა და დრამატურგს, რომელთა თეატრალური რეპერტუკია საკმაოდ გაზდილია მაგრამ თვით ოფიციალური ქართული ეკლესია, რომელიც დასწავ ვეფხის ტყაოსანი, რასკელაველი ვერ წაჰტეხებს დრამატული ხელოვნების სიამაზურს, და ებრძვის მას შედევრისამებრ. დღეს დრამაში მონაწილეობს ორბელიანებს მოძღვარი „ქვეში დარდინანი“ ე. ი. მღვდელ მზიარელი. ამბობენ, რომ ორი თვის წინად ის შეიხსა ქართლის მთავარბრძოლხმა „სახისმეტყველებაში“ მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ „ქვეში დარდინანი“ მოძღვარი და არტიტი, ტრფილი ტრამპუსი და სცენის, ამ მომენტში კულისებში დგან გრამეტიკული და უკანასკნელთა ავლენს თვალს თავის როლს, ხოლო სალაყბოზე დაფრინავს მისი შხამინი სატრია:

„დოსითვისი არტიელი ბოლოსა,
ვიღენება იმას დაეტოლოსა,
თონეშია ჩაჰყავს კარკს ლოლოსა,

ემას წირვას გადაიხდის ქაბასა,
წინ გაიძღვანს დიაცვანს საბასა,
მე დამიშლის შესვლასა პალატასა,
თვით კი ზღუდვი მოივლის აელაბარსა*.

მაგრამ ტრაგედიის გახსნის დრო მოვიდა.

მათემ და მისმა ოჯახმა დაიჭირეს თავისი ალავი ტრაგედიის წინ იმდერეს ჰიმნი შეფისადმი და შენდევ დრამატურგმა მღერით წარმოსთქვა შესავალი:

„მე სახელდელნი იმ ჩემნი დედაშურ წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულზე ზოგთზე სხვით გადმო-
წერითა,

მსმენელთ ვეცდებოდა, ნუ მკიცხენ ამა ლექსისა მღე-
რითა,

არ დაიშლიან, მაჩვენონ იგი, თუ ვმსახურე მე რითა.
თუ ხართ ვინმე მოსერენნი თეატრის სმენად
ანუ ცნობად,

შეიმატებთ განდიდებას, ბრძენთა აქებთ თქვენად
მყოხად.

ერიდებით უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად
გმობად,

არ დაიშლით, ჰგავს—არ რიდებთ თქვენთან გლახ
გულთ ლხვარ სობად.

მერწმუნენით, არ მას ეუნობთ, მკონდეს მტრთა მისკენ
ვრდომა,

მაგრამ მწილის განრინება კიცხვითა და ქვემო რიომა,
ნუ იკადრებთ გაცხადებით იქონიოთ ჩემზე წყრომა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, პლიქვენლობა, ქვე-
ქვე ძრომა“.

დაიწყო ტრაგედია. მთავარ როლებში მონაწილეობენ: რეჟისორი მაზაბელი, თამაშ ანდრონიკაშვილი, დავით ჩოლოყაშვილი, გამბრიელ მაიორი, იოანე ორბელიანი, დავით და მირიან ბატონიშვილები, ქალები სამეფო ოჯახიდან, აგრეთვე ორბელიანები და აივლიშვილთა ასულნი. ტრაგედიის ერთი მომენტი: „თვითმჯიშის საფლავიდან წამოდგება, ერთს კაცს დიპერს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მილაშვილი არა ხარ, ეს რაები ჩაგვიკვამს? იქით კიდევ ხელს ჩააგდებს სხვა მოქალაქეთ, რომელთაც გეროპაში უმოგზაურათ და იქაური ტანისამოსი ჩაუკვამთ. შემდეგ მეფე ამბობს: ჰი გილი საქართველოს ღატაკო ხალხო! მაგრამ ეს, შეილა ოიალო, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაქმნე მკლავს ბატონებზე“*) ტრაგედია იყო სახისმომჟღერებელი. ანტრაქტებზე უკრავდა რუსულ ქართული მეზუკა და იმპროვიზირებდა ინტერმედია ქართული ცეცხლი, ტრაგედიის შემდეგ ტრუპა წარუდგამდნენ რომელიმე ტბილი კონკვენტებიდან აქო მთავი „თამაშა“. ტრაგედია დასრულდა უმშვენიერესი „პოლითი“.

*) კიკნაძის ადმოცემით.



სვენის მოღვაწე ივ. მკუდრიშვილი.
12 იანვარს 35 წლის იტბილეს გა-
მართვისათვის.

ამრიგად სრავლის ეპოქაში ჩვენ გვაქვს საკუთარი თეატრი. გვაქვს ორი სვენა სახახლის და სახახ-
ხო. თეატრის აქვს რეპერტუარი. ჩნდება თეატრალური ინტერესები ჩნდება ავტორი, რეჟისორი ანტრეპრენიორი, დეკორატორი, ბუტაფორი. გვებადება აზრი, რომ ტრუპაში უცხოელენიც და უმთავრესად ევროპელებიც ერივნენ. თეატრალური კულტურა კი საერთოდ ფრანგულ და რუსული სტილის იყო.

მწელია თქმა, რა თეორიული წარმოდგენა ჰქონდათ მაშინდელს ჩვენს თეატრებს, რანაირი იყო ჩვენი „კომედიანტების“ არტიკული ექსტი, დეკლამაცია, ხერხი, კოსტიუმი, გრიმი.

რომ 1795 წ. არ დაღუპულიყო სასახლის არქივი-გვეცოდინებოდა მთავრობის მიერ გავრცელებულ სუბსიდიის რაოდენობაც, გვეცოდინებოდა უფრო დაწვრილებით თეატრის ორგანიზაცია, ტრუპის შემადგენლობა, რეპერტუარი, პირობები თეატრის განვითარების და ესთეტიკური ჭართული „მეცურებელი“.

გიორგი ლენინიძე.

(გაგრძელება იქნება)

P. S. ეს პალატა ეტოლი დაწვრილია ნაქარვეთ. ვერნა-ლის პირობები გველიდა ხელს რომ უფრო ფართოდ გველაპარაკა და მოგვეცადა შესაფერი დასაბუთებანი, ამიტომ იგი მუქს პრეტენსიებს მოვლავლია.

ავტორი.

გფილისის

საქონლის და საფონდო ბირჟა

ისპოლკომის (ყოფ. სოლოდაკის) ქ. № 7, ===

=== ტელეფონი 4-60 და 9-33.

საბირჟო კრებები

0 მ ბ რ თ მ ბ ბ

საქონლის განყოფილებაში დღის 12-2 საათამდე
საფონდო „ „ 11-12 „

ბირჟასთან იმყოფება

სააქსპერტიზო ბიურო ურველგვარ აქსპერტიზის სწარმოებათ

საქონლის სექციები, ნედლი მასალების, ხორცის საქარხნო-საფაბრიკო ნაწარმოებების
და პურეულობის, ბირჟის გარეშე სავაჭრო გარიგების სარეგისტრაციო ბიურო.

საარბიტრაჟო კომისია, საბირჟო გარიგების გარეშე მომხდარ დავის განსახილველათ

აქონრობიურ-სტატისტიკური განყოფილება.

პროენსიალური აგენციები-კორესპონდენციები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემდეგ
ბუნქტებში: თელავი, წმინდა-წყალი, შაუმიანი (ყოფ. შულავერი), გორი, საშური, ახალციხე
ახალქალაქი, ქუთაისი, ჭიათურა, სამცხრედია, ოზურგეთი, ახალ-სენაკი და ფოთი.

ბირჟა სცემს საკუთარ ორგანოს ფასდამდებ („საკოტიროვკა“) ბიულეტენებით.

ცნობების გაცემა: ვალიუტის კურსის და საქონლის ფასების შესახებ, სწარმოებს ბირჟის კანცელა-
რიაში ყოველ-დღე 9-11 საათამდე.